# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 მაისი 2008 №100 (3324) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დი-ნა-მო

## ყველაზე მეტჯერ

## როცა ჩემპიონი ხარ, 13 ბედნიერი რიცხვია





[illegible] ფოტო

სეზონის მთავარ კითხვას პასუხი ზესტაფონსა და მცხეთაში გაეცა: „დინამო“ საქართველოს ჩემპიონი მეცამეტედ გახდა! დინამოელებმა მათე ვაწაძის გოლით მოუგეს „ზესტაფონს“, ხოლო მეორეადგილოსანი „ვიტ ჯორჯია“ ამერელი დიმიტრი ტატანაშვილის ბოლო წუთის პენალტით დამარცხდა. ერთი სიტყვით, ჩემპიონი ცნობილია, თუმცა კითხვები მაინც დარჩა და ამ კითხვებს ბოლო ორი ტური გასცემს პასუხს. „ვიტ ჯორჯიამ“ თითქმის გაინალდა მეორე, საუეფასთასო ადგილი, რაკი „მგლებთან“ და „მესხეთთან“ დარჩენილ მატჩებში 4 ქულაც ჰყოფნის. შესაბამისად, ზესტაფონელთა ამბიციას საქართველოს თასის მოგებაღა თუ დააკმაყოფილებს და ესეც ურთულესი საქმე იქნება — ჯერ „დინამო“ ჰყავთ დასამარცხებელი ნახევარფინალში, გადამწყვეტ მატჩში კი, ალბათ, ისევ იმ „ამერთან“ მოუწევთ შებმა, ზედიზედ ორი წელია, ფინალში რომ მარცხდებიან.



## ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტთა პასუხი ოპონენტებს

## უნდა ჩატარდეს თუ არა რიგგარეშე არჩევნები? არა - 97%

საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 24 ტური

# დინამომ გაათამაშა!

## ჩემპიონობა გადავსებულ ზესტაფონში

ზესტაფონი. 3 მაისი. 17 საათი. ცენტრალური. 9 000 მაყურებელი

### ზესტაფონი 0:1 დინამო

| | |
|---|---|
| 0:1 ვაწაძე (55) | |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, შ. ლონლაძე, აკუასაგა, რ. ონიანი, ვიეირა, კესანი, ნ. კვასხვაძე, გელაშვილი (იონანიძე 46), ბ. გოცირიძე (ბიტოო 66) სათადარიგონი: გ. ჭანტურია, სანტოსი, გ. ხიდეშელი, დაუშვილი, საცერაძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დინამო: ოვონო, შ. კაშია (გ. კაშია 83), ზელიჩი, კრშკო, გველესიანი, დილმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე, ხუციშვილი (ფირცხალავა 89), ვაწაძე, აკირემი (სპასოევიჩი 72) სათადარიგონი: ლორია, დობეში, ნერგაძე მწვრთნელი: დუშან უჰრინი |
| გაფრთხილება: ვაწაძე (58), ვიეირა (59), ხმალაძე (63), ვიეირა (88), დილმელაშვილი (89), ზელიჩი (90) | |
| გაძევება: ვიეირა (88) | |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, ბ. ჭიჭინაძე, ლ. თოდრია, ჯ. ბუიშვილი | |
| დამკვირვებელი: ო. გუნთაძე; დირექტორი: შ. ხინჩაგაშვილი | |

**ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან**

**რამდენიმე** დღეა, ზესტაფონის ცენტრალურ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ლოჟა კლუბის სიმბოლიკითაა დამშვენებული და ეს ყველაფერი სასიამოვნო სანახავია...

ზესტაფონს დინამოელები ცუდ განწყობაზე ესტუმრნენ — რამდენიმე დღის წინ გუნდის ფიზიოთერაპევტი გოგიტა ლობჟანიძე დაიღუპა და თბილისელებიც მინდორზე შავი სამკლავურებით გამოვიდნენ, მატჩი კი წუთიერი დუმილით დაიწყო...

„ზესტაფონს" დისკვალიფიკაციის გამო ედიკ საჯაია არ ჰყავდა, „დინამოს" კი ტრავმის გამო გიორგი მერებაშვილი დააკლდა.

პირველი ხიფათი მასპინძელთა კართან შეიქმნა. დავით დილმელაშვილს მეკარესთან პირისპირ ჟორჟ აკირემი გაჰყავდა, თუმც როინ კვასხვაძემ დროულად დატოვა კარი და ბურთს დაეუფლა. ზესტაფონელებმა მალევე უპასუხეს: მარცხენა მახვილი კუთხიდან ჟილვან ვიეირამ კარში დაარტყა და ბურთი ხარიხას გაეხახუნა.

მე-10 წუთზე იმავ ვიეირამ იაქტიურა, მარცხენა ფრთაზე გაინავარდა და საჯარიმოში ნიკა გელაშვილი მოძებნა, რომელმაც ბურთი ბექა გოცირიძეს დაუგორა, თუმც მან კარს ააცილა.

რას წარმოიდგენდა სტადიონზე მრავლად მოსული ქომაგი, რომ ეს მასპინძელთა ბოლო სახიფათო შეტევა იქნებოდა ამ მატჩში. მიმდინარე ჩემპიონატში თემურ მახარაძის გუნდს შინ არ წაეგო და ყველა საშინაო მატჩში გოლი გაჰქონდა, დინამოელებთან კი „ზესტაფონი" ძალიან უსუსური გამოჩნდა.

გოცირიძე იმდენს ათრევდა ბურთს, რომ ქომაგი გააბრაზა და ერთხელ ხელის აწევით საჯაროდ მოიბოდიშა კიდეც.

თბილისელებს ნერვიულობა მაინცდამაინც არ ეტყობოდათ და მშვიდად აგორებდნენ ბურთს.

მე-20 წუთზე დავით ოდიკაძის ჩაწოდებულს თავით მიხეილ ხუციშვილმა დაარტყა, თუმც კარს ვერ დაუმიზნა.

გოცირიძემ ბურთი ისევ დაკარგა, ამით ხუციშვილმა ისარგებლა და კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. ტაიმის მიწურულს დინამოელებს დაწინაურება შეეძლოთ, აკირემ-ხუციშვილ-ოდიკაძის კომბინაცია და, „ოდო" მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ისევ კვასხვაძემ იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

თემურ მახარაძემ გელაშვილის ნაცვლად ზურაბ იონანიძე შეიყვანა, „იონას" ხომ ბევრჯერ გაუმწარებია თბილისელები, თუმც თამაში ისე დამთავრდა, ჩვენი ჩემპიონატის ყველა დროის მთავარმეგოლეს გატანის შანსი არც მისცემია.

55-ე წუთზე კი სტუმრებმა გაიხარეს: მარჯვენა ფრთაზე შეტევაში შოთა კაშია ჩაერთო და საჯარიმოში ჩააწოდა, სევასტი თოდუამ ძალიან უხეიროდ მოიგერია, მათე ვაწაძემ კი მშვენიერი შანსი ხელიდან არ გაუშვა და მოჭრილი დარტყმით კვასხვაძე უსაქმოდ დატოვა.

თითქოს შეტევაში უნდა გადასულიყვნენ ზესტაფონელები, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. არც ეტიენ ბიტოოს შესვლას შეუცვლია რამე.

ერთადერთი, რაც „ზესტაფონმა" მეორე ტაიმში მოახერხა, ის იყო, რომ 85-ე წუთზე კუთხური ჩააწოდა, თუმც ამას არანაირი ხიფათი არ მოჰყოლია.

ბოლო წუთებში უხეშობამ იმატა. განსაკუთრებით ვიეირას უმტყუნა ნერვებმა — წაქცეულ ხუციშვილს ფეხი განზრახ დააბიჯა. არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ ბრაზილიელს ყვითელი ბარათი აკმარა, თუმცა ეს ვიეირასთვის მეორე ყვითელი იყო, რაც ეტყობა, არბიტრს დაავიწყდა და წითელი არც უჩვენებია. ვიეირა ერთი კი გაექაჩა ხუციშვილს, მაგრამ თანაგუნდელებმა დააშოშმინეს და ისიც გასახდელისკენ თავისი ნებით გაეშურა.

უკმაყოფილო ქომაგებმა მოედანზე ნაირ-ნაირი საგნები ისროლეს...

თბილისელებს კი ყური მცხეთისკენ ჰქონდათ, თუ „ვიტ ჯორჯია" „ამერს" ვერ მოუგებდა, ისინი ჩემპიონები ხდებოდნენ. დარჩენილ წუთებში ნედ ზელიჩმა და დავით დილმელაშვილმა ყვითლები მიიღეს, რაც „დილმელას" ძვირი დაუჯდება — ის ოთხშაბათს „ზესტაფონთან" სათასო მატჩს გამოტოვებს. იგივე მიზეზით „დინამო" ლევან ხმალაძესაც მოისაკლისებს...

ვადაჭკორიამ საფინალო სასტვენი მისცა და თბილისელებმაც ზეიმი მოიწყვეს, საჩემპიონო ზეიმი!

### პრესკონფერენცია

*დუშან უჰრინი:* ამ თამაშს ვუფრთხოდით, „ზესტაფონი" ხომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. კარგია, რომ აქ გავხდით ჩემპიონები. მინდა, ჩემს ფეხბურთელებს ჩემპიონობა მივულოცო და მადლობა ვუთხრა.

*თემურ მახარაძე:* „დინამოს" ჩემპიონობას ვულოცავ. ძალიან საჭირო სამი ქულა დავკარგეთ. ჩვენს რვა ფეხბურთელს ორი ყვითელი ბარათი ჰქონდა, რამაც ეტყობა, მათზე ფსიქოლოგიურად იმოქმედა, სათასო მატჩზე ფიქრობდნენ. ვიეირამ თავისი გაძევებით ყელი გამოგვჭრა, მისი გამოცვლა მინდოდა, მაგრამ ველარ მოვასწარი. თავდამსხმელები პასიურები იყვნენ და უკმაყოფილო ვარ.



მათე ვაწაძე (მარცხნივ)



ჟილვან ვიეირა და ნედ ზელიჩი



# უჰრინი მესამე ცაზე

## ჩეხის ქართული სიხარულები

**თბილისის „დინამო" მეცამეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი! „დინამომ" ცხრათვიანი რთული და მომქანცველი საჩემპიონო სვლა გუშინწინ ზესტაფონში დაასრულა და ნანატრი ტიტულიც დაიბრუნა. გუნდის მწვრთნელი ჩეხი დუშან უჰრინი კი მესამე უცხოელია, ვინც თბილისელები ამ ახალ დროებაში აჩემპიონა. შეგახსენებთ, უჰრინამდე „დინამოს" პირველობა ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა და ხორვატმა ივო შუშაკმა მოაგებინეს...**

— უზომოდ გახარებული და ბედნიერი ვარ. ვამაყობ, რომ საქართველოში ჩემი 18-თვიანი მუშაობა ასეთი წარმატებული გამოდგა და თბილისის „დინამომ" ჩემპიონობა დაიბრუნა. დიდი მადლობა „დინამოს" ყველა ფეხბურთელს, პერსონალს, ხელმძღვანელებს, ჩემს თანაშემწეებს, ჩვენ ერთად მოვიპოვეთ ეს დიდი გამარჯვება — გვითხრა დუშან უჰრინმა, რომელსაც სიხარული და კმაყოფილება ხმაშიც ეტყობოდა.

**— ცხადია, ჩემპიონობას ჩვენც გილოცავთ, მაგრამ ერთი ტიტულის მოპოვების შანსიც გაქვთ — საქართველოს თასს ვგულისხმობ...**

— რა თქმა უნდა. ჩემპიონობის მოპოვებით ჩვენი საქმე არ დამთავრებულა. „დინამო" ბოლომდე აპირებს ბრძოლას. დუბლის გაკეთება გვსურს და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

**— ფინალის გზაზე კი თქვენი მეტოქე ისევ „ზესტაფონია", მატჩიც ისევ ზესტაფონშია. როგორ ფიქრობთ, სათასო მატჩი უფრო რთული იქნება, ვიდრე საჩემპიონო იყო?**

— ვფიქრობ, თასის საპასუხო შეხვედრაში უფრო გაგვიჭირდება. „ზესტაფონი" ახლა მეტად მოტივირებული და შემართული იქნება. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში მათ შანსი აღარ ჰქონდათ, თასის ფინალთან კი ჩვენსავით ახლოს არიან. თანაც თასის საპასუხო შეხვედრაში ლევან ხმალაძე, დავით დილმელაშვილი და გიორგი მერებაშვილი დაგვაკლდებიან. სამივე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელია და, ცხადია, ასეთი დანაკლისი გარკვეული კორექტივებისკენ გვიბიძგებს. თუმცა გავიმეორებ, „დინამო" თავისას ეცდება და იმედი მაქვს, ჩემპიონობას ქვეყნის თასსაც დავუმატებთ.

**— როგორც ვიცით, სეზონის ბოლოს „დინამოსთან" კონტრაქტი გიმთავრდებათ. რას აპირებთ მომავალში?**

— ხანგრძლივი არდადეგები უნდა მოვიწყო. თანაც საოპერაციო ვარ და ექვსი თვე ისედაც უქმობა მომიწევს.

**— ექვსი თვის შემდეგ?**

— ამას ექვსი თვის შემდეგ გეტყვით. ჯერ მხოლოდ ის ვიცი, რომ დასვენება მჭირდება.

**— თქვენს კარიერაში ეს მესამე საჩემპიონო ტიტულია...**

— დიახ, „დინამომდე" ორჯერ პრაღის „სპარტა" მივიყვანე ქვეყნის ჩემპიონობამდე. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ უცხო ქვეყნის ოქროც მოვიგე.

**— რით იყო თქვენთვის დასამახსოვრებელი საქართველოში გატარებული ეს 18 თვე?**

— ქვეყანაზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგანაც მთელი ეს პერიოდი ჩემთვის მხოლოდ ფეხბურთი, დიღმის საწვრთნელი ბაზა და სტადიონები იყო. ქართველი ხალხის კი დიდი პატივისმცემელი ვარ, რაც ჩეხეთშიც გამყვება და მთელი ცხოვრება ჩემში დარჩება. გმადლობთ, ქართველებო!

**— და ერთიც, თუმც, იმედია, ჩეხეთში გამგზავრებამდე საუბარს კიდევ მოვასწრებთ: თქვენ საქართველოში ყველაზე გამოცდილი მწვრთნელი ხართ. რას ეტყვით ქართველ კოლეგებს?**

— ვფიქრობ, რომ საქართველოში ნიჭიერი მწვრთნელები არიან. ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე მათ თვალსაჩინო პროგრესი აქვთ და გულმოდგინედ მუშაობა თუ გააგრძელეს, წარმატებაც არ დააყოვნებს.

**ძოგა ინასარიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 24 | 21 | 1 | 2 | 59:13 | 64 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 18 | 3 | 3 | 43:11 | 57 |
| ზესტაფონი | 24 | 17 | 4 | 3 | 53:15 | 55 |
| ამერი | 24 | 15 | 2 | 7 | 47:24 | 47 |
| ოლიმპი | 24 | 14 | 4 | 6 | 24:16 | 46 |
| მესხეთი | 24 | 10 | 5 | 9 | 27:30 | 35 |
| ბორჯომი | 24 | 9 | 4 | 11 | 28:30 | 31 |
| მგლები | 24 | 9 | 3 | 12 | 22:29 | 30 |
| სიონი | 24 | 7 | 5 | 12 | 24:33 | 26 |
| ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 18:28 | 24 |
| სპარტაკი | 24 | 4 | 8 | 12 | 12:27 | 20 |
| მერანი | 24 | 6 | 1 | 17 | 15:48 | 19 |
| ბათუმი | 24 | 4 | 3 | 17 | 15:47 | 15 |
| დილა | 24 | 1 | 5 | 18 | 12:50 | 8 |

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

II წრე. 24 ტური

# მეორე სერია

## გლდანში ჩაშლილი ამერმა მცხეთაში მოიგო



კობა შალამბერიძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დიმიტრი ტატანაშვილმა (№18) გოლად აქცია

მცხეთა. 3 მაისი. 17 საათი. არმაზი. 800 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 0:1 ამერი

| 0:1 ტატანაშვილი (90პ) | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ა. კვახაძე, პ. დათუნაიშვილი, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, ბეჭვაია (კლიმიაშვილი 63), გ. მელქაძე, სახოკია (ლიპარტია 56), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 76) *სათადარიგონი: მიქაბერიძე, ყველაშვილი, კვალინიძე, მაისაშვილი* მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | ამერი: ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი (მესხი 89), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე, დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (ა. ალავიძე 63), დავითაშვილი, რ. გოცირიძე (ტატანაშვილი 68) *სათადარიგონი: ქვაჩახია, ჩიმაკაძე, სილაგავა, გვაძაბია* მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |
| გაფრთხილება: ლიპარტია (65), დიდავა (73), დობროვოლსკი (75), რაზმაძე (84), დავითნიძე (88) | |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ხუციშვილი, ხ. გაგნიძე | |

**კობა ინასარიძე მცხეთიდან**

**...არ ვიცი,** იმ დროს, როცა თბილისურმა „ამერმა" მცხეთაში გამარჯვების გოლი გაიტანა, ზესტაფონის სტადიონზე რა ხდებოდა, მაგრამ მგონია, რომ ამერელებზე მეტად იმერეთში მყოფი თბილისის „დინამო" გაიხარებდა — არბიტრისგან ძირითად დროს წამატებულ წუთზე დიმიტრი ტატანაშვილის გატანილმა პენალტმა ხომ „დინამოს" ვადაზე ადრე დააბრუნებინა ჩემპიონის ნანატრი ტიტული, მისი დამრიგებლის დუშან უჰრინის კოლექცია კი კიდევ ერთი ოქროთი გაამდიდრა.

მცხეთაში გატანილი პირველი გამარჯვების გოლიც, მხოლოდ „დინამოს" ჩემპიონობის ფასად როდი ალგვინიშნავს — საქმე ისაა, რომ ამ გუნდების მეტად პრინციპული და უკომპრომისო დაპირისპირებათა ისტორიაში სწორედ პირველად მოახერხა „ამერმა" მცხეთაში „ვიტ ჯორჯიას" დამარცხება. შაბათამდე გამართულ შვიდ შეხვედრაში „ყვითლებს" ერთი გლდანური მატჩი ჰქონდათ მოგებული, დანარჩენი კი „ვიტ ჯორჯიას" სასარგებლოდ დამთავრებულიყო. ერთი საინტერესო ამერ-ვიტჯორჯიული დეტალიც ისაა, რომ ერთმანეთში ფრე ჯერაც არ უთამაშიათ. ამ შედეგთან ყველაზე ახლოს ისინი შაბათს იყვნენ, მაგრამ რაც გამოვიდა, ოქმიდანაც ჩანს.

მასპინძლები საამმატჩოდ უძლიერესი შემადგენლობით იყვნენ, მათთვის ხომ ამ შეხვედრას სატურნირო თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, წაგებისა და „ზესტაფონის" მოგების შემთხვევაში „ვიტ ჯორჯია" მეორე ადგილსაც დაკარგავდა და სათუოს გაიხდიდა უეფას თასის საგზურის მოპოვებას. „ამერი" კი მცხეთურ შეხვედრას დისკვალიფიცირებული გიორგი დეკანოსიძისა და გიორგი მემარნიშვილის გარეშე შეხვდა.

აქედანვე ვთქვათ, რომ მატჩი სახიფათო მომენტებითა და თვალსასეირო ეპიზოდებით დიდად დახუნძლული არ ყოფილა, თუმცა მთელი 90 წუთის განმავლობაში ისეთი დამუხტული ვითარება იყო, რასაც შეიძლებოდა, გართულება ყოველ წამს მოჰყოლოდა. ეს ამბავი კი ამათთვის უცხო არც არის — პირველი წრის შეხვედრისას ხომ სწორედ ზედმეტი გართულებების გამო „ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ გუნდი მოედნიდან გაიყვანა და ის მატჩი ჩაიშალა, „ვიტ ჯორჯიას" ტექნიკური მოგება (3:0) ჩაეთვალა.

მატჩის დაწყებისთანავე გოლთან ძალიან ახლოს მასპინძლები იყვნენ — „ამერი" დავით ლომაიას დარტყმულის შემდეგ ძელმა იხსნა. „ყვითლების" საჯარიმოში შექმნილ არეულობას სულ იოლად შეიძლოება გოლი მოჰყოლოდა, მაგრამ ლომაიას გარდა სხვამ დარტყმა ვერ მოახერხა.

„ვიტ ჯორჯიას" დასაწყისშივე რომ გაეტანა, ძნელი სათქმელია, მერე რა როგორ იქნებოდა...

თუმცა არც სტუმრები დარჩენილან ვალში და ამ მომენტიდან 15 წუთში უკვე მასპინძლები იხსნა ხარიხამ — „ამერის" კონტრშეტევა სულიკო დავითაშვილის გონივრული პასითა და კობა შალამბერიძის მეკარესთან პირისპირ შეხვედრით გაგრძელდა, სტუმართა შემტევი გრიგოლ ბედიაშვილსაც გასცდა, მაგრამ ოღრო-ჩოღრო მოედანზე ბურთი ახტა და შალამბერიძემაც ზუსტად ველარ დაარტყა.

დასამახსოვრებელ-აღსანიშნავი არც შესვენებამდე დარჩენილ დროში, არც თითქმის მთელ მეორე ტაიმში ბევრიც არაფერი მომხდარა. უპირატესობა კი მასპინძლებისა იყო, მეტწილად მოედნის სიღრმიდან საჯარიმოში ჩაწოდებებით რომ ცდილობდნენ შეტევას. ხოლო „ამერს" დაცვის ხაზი საიმედოდ ჰქონდა გამაგრებული და კონტრშეტევებსაც არ აყოვნებდა. სხვა საქმეა, რომ ასეთი თამაშისას მეტოქეებს არაფერი გამოსვლიათ.

88-ე წუთზე კი „ვიტ ჯორჯიას" საგოლედ კარგი შანსი მიეცა. „ამერის" საჯარიმოს ხაზიდან სულ რამდენიმე სანტიმეტრში ჯარიმა დაინიშნა, მასპინძელთა ფორვარდების ცრუ მოძრაობებს მცველებმა ვერაფერი გაუგეს და სახიფათოდ დაჯარიმდნენ. დარტყმა გიორგი მელქაძემ ითავა და უზუსტო გამოდგა. ორიოდ წუთში კი მატჩის კულმინაციური მომენტიც დადგა. ალექსანდრე კვახაძეს კართან ახლოს ტატანაშვილმა იმდენი სდია, ვიდრე ბურთი არ დააკარგვინა, რომელიც იქვე ახლოს დავითაშვილმა მოიგდო და კარის გასწვრივ გივი დიდავას დასარტყმელად დაუგორა, ნაღდი გოლი ჩანდა, მაგრამ ბედიაშვილმა იყოჩაღა და დიდავას არ გაატანინა. ბურთი გვერდით გადავარდა, საიდანაც უკვე შალამბერიძემ შეუტია, მან ბურთი გაიგდო, თუმცა მეკარე მოუზომლად ჩაუხტა და... ხარიტონაშვილმა უყოყმანოდ ჩასტვინა — პენალტი. მასპინძლებმა არბიტრის გადაწყვეტილება ერთი-ორი სიტყვით კი გააპროტესტეს, რაც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ, ცხადია, არაფერი შეცვლილა. ტატანაშვილმაც ბურთი ნერვის აუტოკებლად გაისწორა და ასევე მშვიდად და ზუსტად დაარტყა...

რუსთავი. 3 მაისი. 17 საათი. ფოლადი. 1 500 მაყურებელი

### ოლიმპი 1:0 ბორჯომი

| 1:0 მახვილაძე (65პ) | |
|---|---|
| ოლიმპი: გ. ლომაია, ორბელაძე, მგელაძე, რეხვიაშვილი (იმედაძე 63), მახვილაძე, გაბედავა (სილაგაძე 77), ჯოჯუა, დ. დევდარიანი (სებისკვერაძე 72), კახელიშვილი, გეწაძე, ომელიანოვი *სათადარიგონი: შეყრილაძე, ხუბუა* მწვრთნელი: ხვიჩა ქასრაშვილი | ბორჯომი: სეფიაშვილი, კირთაძე, კაკუბავა, თედიაშვილი, გურული, გოგიჩაიშვილი, ქავთარაძე, გუგავა, ნ. ლომიძე (გოგოლაძე 63), ვ. ბოლქვაძე (ხაჩიძე 32), ნასყიდაშვილი *სათადარიგონი: დათუაშვილი, ჩირიკაშვილი* მწვრთნელი: ვლადიმერ ნაჩიძე |
| მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ი. უკლება, ა. კრიჟაშვილი | |

# ერთადერთი მახვილი

**ილია ნანობაშვილი რუსთავიდან**

**ეს** თამაში გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა „ოლიმპის" ბოლოდროინდელ მატჩებს — მოსაწყენი ბურთაობა შეტევაში და ძლივს გამოძერწილი გოლით მოგება. 65-ე წუთი იყო, დავით დევდარიანმა ლამაზი დრიბლინგი წამოიწყო, კარგად უპასა უკრაინელ ალექსანდრ ომელიანოვს, რომელსაც სტუმართა მცველმა არ დაარტყმევინა, მაგრამ ბურთი აიბლანდა საჯარიმოში და მინდორზე ორი წუთის შესულ გია იმედაძესთან ჭიდილში ერთ-ერთ ბორჯომელს ხელზე მოხვდა...

მიხეილ მახვილაძემ თერთმეტი მეტრიდან ზუსტად დაარტყა და, მართალია, სტუმართა მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილმა ბურთს თითები წაატანა, მოგერიება ვერ შესძლო — 1:0.

გოლამდეც და გოლის შემდეგაც „ოლიმპს" მცირე უპირატესობა ჰქონდა და მეტწილად მარცხენა ფლანგიდან უტევდა, სადაც რევაზ გეწაძე აქტიურობდა. პირველი სახიფათო მომენტიც გეწაძის დარტყმა იყო — ზემოდან გადასცდა კარს.

ტაიმის ბოლოს რევაზმა საჯარიმო დაარტყა კარგად და სეფიაშვილმა ნახტომში მოიგერია, თუმც პირველ ტაიმში ყველაზე რეალური შანსი დევდარიანს ჰქონდა — ოდნავ მახვილი კუთხიდან თავით ცდილობდა გატანას და სეფიაშვილმა ისევ მოიგერია.

„ბორჯომს" არ ჰყავდა გია მეგრელაძე, გივი ჩხეტიანი, შოთა გრიგალაშვილი და გივი ქარქუზაშვილი, ხოლო ირაკლი ჩირიკაშვილი სათადარიგოებში იჯდა 90 წუთი.

ჩემპიონატში კურორტელებს მოტივაცია დაკარგული აქვთ და თასის ფინალში გასვლის მცირე იმედი შერჩენიათ — „ამერთან" სტუმრად 1:4 აქვთ წაგებული და 7 მაისს შინ სურთ ამოქაჩვა.

მეგრელაძის არყოფნაში ბორჯომელთა გამოკვეთილი თავდამსხმელი თამაზ ნასყიდაშვილი გახლდათ, ვისაც სიღრმიდან ვალერი ბოლქვაძე ეხმარებოდა, თუმც ტრავმა მიიღო და შეცვალეს.

გეწაძე ვახსენეთ და, მასთან ერთად გამორჩეული იყო ვლადიმერ ჯოჯუაც, ვინაც ბევრი იმუშავა მინდვრის ცენტრში.

ჰო, კიდევ ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ ოლიმპელებს, ომელიანოვი და გიორგი კახელიშვილი კურორტელთა ერთ მცველთან და მეკარესთან დარჩნენ, მაგრამ ნორმალურად ვერ გაითამაშეს ბურთი — კახელიშვილმა მაინცდამაინც მცველს მოარტყა.

რუსთაველები მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან, რომელზეც კვლავ „ამერია" და ისევ ერთი ქულაა ამ გუნდებს შორის სხვაობა.



რუსთავის „ოლიმპმა" „ბორჯომი" მიხეილ მახვილაძის ამ პენალტითღა გატეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბრანკოს მოლოდინში

შაბათ საღამოს თბილისის „დინამო“ მეცამეტედ გახდა საქართველოს ჩემპიონი, რაც მისალოცი ამბავია და იმავდროულად კი ევროპისთვის მზადების დაჩქარებულ საჭიროებას გვანახებს. ის დრო გამახსენდა, როცა „დინამო“ ყოველ წელიწადს ჩემპიონი ხდებოდა, როგორც ჰოკეიში მოსკოვის ცსკა.

როცა ჩემპიონს უყურებ, ყოველთვის იმაზე ფიქრობ, რამდენი კაცი მოხვდებოდა იქიდან ნაკრებში. ერთ დროს, როცა იტალიაში ლეგიონერობა აკრძალული იყო, მთელი „იუვენტუსი“ ქვეყნის ნაკრებში იყო მიწვეული. ასევე იყო კიევის „დინამოც“ 70-იანი წლების ერთ მონაკვეთში და 80-იანი წლების ორ-სამ წელიწადს, რამაც მაშინდელ საბჭოთა კავშირში ტერმინი „საბაზო გუნდი“ გააჩინა.

იმ ლობანოვსკისდროინდელ საბჭოთა ნაკრებს 80-იან წლებში წარმატებული შეიძლება დაერქვას, ბოლოს და ბოლოს, ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდა. მერეც, საბჭოთა კავშირის დაშლის პირველ წლებში, კიევის „დინამო“ უკრაინის ნაკრების „საბაზო გუნდად“ იქცა და მაშინ ჩვენთანაც ლაპარაკობდნენ, აი, ჩვენც ერთი ძლიერი კლუბი უნდა შევქმნათ და იმას დავაყრდნოთ ნაკრებიო. ადრე თუ ეს „დინამოზე“ ითქმოდა, ორი წლის წინ „ზესტაფონზე“ ითქვა.

მაშინ საუკეთესო ქართველი ფეხბურთელები უკვე საზღვარგარეთ თამაშობდნენ და საერთოდ, ბოსმანის საქმემ ამ „საბაზო საზოგადოებას“, ერთი კლუბიდან ნაკრებში ხალხის მიწვევას, საბოლოოდ მოუთავა ხელი. ამიტომ, ამ იდეის გაღვიძება ჩვენთვის ძნელად განსახორციელებელი ჩანდა. თანდათან კი საქმე ისე წავიდა, რომ საქართველოს კლუბებიდან ნაკრებში თითქმის აღარავინ ხვდებოდა. ვინც მაგარია, გარეთ არის და ველოსიპედს გამოგონება არ სჭირდებაო. ამგვარი შეხედულებით დაიწყო ნაკრებში მუშაობა ტოპმიოლერმა, თუმცა მერე და მერე, ეს მტკიცე აზრი შეიცვალა. მგონი, ეს არ იყო მთავარი პრობლემა მის მუშაობაში, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი ხილული პრობლემა კი იყო. მოკლედ, ამის წამოძახება ყოველთვის შეიძლებოდა, იმასთან ერთად, რომ ის საქართველოში არ ცხოვრობდა.

ახლა საქმე ისეა, რომ ნაკრების სათავეში ბრანკო ივანკოვიჩი მოდის. ის საქართველოში იცხოვრებს და ჩვენს ჩემპიონატსაც, ტოპისგან განსხვავებით, თავიდანვე უყურებს. ანუ ფესვებიდან დაიწყებს. ოღონდ, ბრანკოს რთული სტარტი ექნება, ტოპისთვის დაგეგმილი ორი ამხანაგური თამაში, რომელთაგან ერთ-ერთი პორტუგალიელთა ევრო 2008-ზე კარგ განწყობაზე გამგზავრებას ემსახურებოდა და ჩვენი საშინლად არეული ნაკრებისთვის რისი მომტანი იყო, ძნელი სათქმელია, ბრმად უნდა ჩაატაროს. ბრმად თუ არა, ისე, რომ ნამდვილი სანაკრებო ჩაფიქრებისთვის დრო არ ექნება. თუმცა, ოფიციალურად ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ იქნება ნაკრების მწვრთნელი. ივანკოვიჩი ყველაზე კარგი და ახლომდგომ ვარიანტად ჩანს.

საინტერესო ის იქნება, ვის და რას იპოვის ბრანკო საქართველოს კლუბებში, როგორ მოიყვანს მათ ნაკრებამდე და მერე კი, როგორ მიიყვანს ნაკრებს სადმე. ჩემი მოკლე ჭკუით, საქართველოს ნაკრები ძალიან განსხვავებული იქნება იმ გუნდისგან, რომელიც ტოპმიოლერს ჰყავდა საუკეთესო თვეებში. შემადგენლობითაც გვარიანად, მაგრამ უფრო ტაქტიკას ვამბობ.

საქართველო ყველგან და ყოველთვის თავდასხმას თამაშობს. ვინ იცის, ეგებ ესეც არის ჩვენი გამუდმებული მარცხების მიზეზი.

მოკლედ, სალაპარაკო ბევრია... საფიქრალიც... სამარჩიელოც კი...



ბადრი ქარქაშაძის ფოტო

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში შემავალი სუბიექტების განცხადება

ვაცხადებთ, რომ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ, ჩატარდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით, რადგან ამის არანაირი სამართლებრივი ან თუნდაც მორალური საფუძველი არ არსებობს. ჩვენი პოზიცია იყო, არის და იქნება, რომ ქართული საფეხბურთო ოჯახისთვის, ზოგადად, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ერთიანობას. ამიტომ ვაცხადებთ — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ყველანაირად მხარში ვუდგავართ ჩვენი ფეხბურთისა და სახელმწიფოს საკეთილდღეოდ.

*ხელს აწერენ:*

*1. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა (პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი);*

*2. საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი (თავმჯდომარე ვაჟა ჟვანია);*

*3. საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი (თავმჯდომარე სერგო კოტრიკაძე);*

*4. საქართველოს ფუტსალის ასოციაცია (პრეზიდენტი კახა დევდარიანი);*

*5. საქართველოს მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა კავშირი (თავმჯდომარე ავთანდილ შალამბერიძე);*

*6. საქართველოს ქალთა ფეხბურთის ასოციაცია (გენერალური მდივანი ნინო რატიანი);*

*7. საქართველოს ეზოს ფეხბურთის ასოციაცია (პრეზიდენტი შოთა ბაქრაძე);*

*8. საქართველოს ბიჩ-სოკერის ფედერაცია (პრეზიდენტი ზაზა ციციშვილი);*

*9. თბილისის ფეხბურთის ფედერაცია (გენერალური მდივანი რევაზ მგელაძე);*

*10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე);*

*11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი დავით თავართქილაძე);*

*12. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი ნუგზარ ბექაური);*

*13. შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი თემურ გიგუაშვილი);*

*14. რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი გია შარაბიძე);*

*15. გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი დურმიშხან ჩხაიძე);*

*16. კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი გოჩა როსტომაშვილი);*

*17. იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი ვალერი მანავაძე);*

*18. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი სერგო კვარაცხელია);*

*19. სამხრეთ ოსეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი იგორ ხუბეჟოვი);*

*20. ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია (პრეზიდენტი ლაშა მინდელი);*

*21. ფეხბურთის კლუბი „ამერი“ (პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია);*

*22. საფეხბურთო კლუბი „ლოკომოტივი“ (პრეზიდენტი ალექსი თოფურია);*

*23. საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ (პრეზიდენტი ილია კოკაია);*

*24. საფებურთო კლუბი „მესხეთი“ (დირექტორი გიორგი მესხელი);*

*25. საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ (მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე);*

*26. საფეხბურთო კლუბი „სიონი“ (დირექტორი ნუგზარ ლომთაძე);*

*27. საფეხბურთო კლუბი „დინამო ბათუმი“ (დირექტორი თამაზ ცინარიძე);*

*28. საფეხბურთო კლუბი „დილა“ (პრეზიდენტი მიხეილ ლურსმანაშვილი);*

*29. საფეხბურთო კლუბი „სპარტაკი“ (პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი);*

*30. საფეხბურთო კლუბი „მგლები“ (დირექტორი რევაზ პერტაია);*

*31. საფეხბურთო კლუბი „ოლიმპი“ (დირექტორი ბადრი ქარქაშაძე);*

*32. საფეხბურთო კლუბი „მერანი“ (პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი);*

*33. საფეხბურთო კლუბი „ოლიმპი“ (დირექტორი ბადრი ქარქაშაძე);*

*34. საფეხბურთო კლუბი „ბორჯომი“ (დირექტორი ვახტანგ მაისურაძე).*

# სანამ ივანკოვიჩი ჩამოვა...
## ფედერაციამ ხელმოწერები შეაგროვა

ქართული საფეხბურთო ოპოზიცია ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას რა ხანია, მოითხოვს. უამრავი განცხადებაც გაკეთდა და აქციებიც მოეწყო. ოპოზიციონერთა ამგვარი მოთხოვნის არგუმენტსაც შეგახსენებთ: შარშან 13 მაისს ყრილობამ პრეზიდენტად გიორგი ნემსაძე აირჩია, რომელიც აიძულეს, გადამდგარიყო და ოთხ დღეში ხელმეორედ დანიშნულ არჩევნებზე ნოდარ ახალკაცმა უკანონოდ გაიმარჯვაო. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ოპოზიცია დღემდე ერიდება იმაზე ლაპარაკს, თუ ვინ და რა ვითარებაში აიძულა გიორგი ნემსაძე, გადამდგარიყო. ამ საკითხზე განმარტებებს არც თავად ნემსაძე აკეთებს. ფეხბურთის ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის პოზიციაც ცნობილია — რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საფუძველს ვერ ხედავენ, ოლონდ ეს პოზიცია აქამდე მხოლოდ ინტერვიუებში იყო დაფიქსირებული, დოკუმენტის მაგვარი ოფიციალური განცხადება კი არ გაკეთებულა. გუშინ კი ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადება გამოქვეყნდა, რომელსაც ფედერაციის სუბიექტი 35 ორგანიზაციიდან 34-ის ხელმძღვანელი აწერს ხელს. ერთადერთი, ვისი ხელმოწერაც ამ განცხადებას აკლია, მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ გუცაევია. შეგახსენებთ, რომ გუცაევი ოპოზიციის მოთხოვნას იზიარებს, თუმცა ჩვენთან საუბარში ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა განცხადებაზე გუცაევის ხელმოწერის გაჩენა არ გამორიცხა. ამ განცხადებასთან დაკავშირებით ახალკაცს და რამდენიმე ხელმომწერს კომენტარები ვთხოვეთ (ბუბა ტყავაძემ და გურამ რუხაძემ კომენტარზე თავი შეიკავეს), ოპოზიციონერთაგან კი ლევან ყიფიანს შევეხმიანეთ, რომელიც კომენტარს სადღეისოდ დაგვპირდა და, შესაბამისად, ხვალინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ...



**ნოდარ ახალკაცი:** სანამ რიგგარეშე არჩევნებსა და გამოქვეყნებული განცხადების თაობაზე თქვენს კითხვას ვუპასუხებ, მინდა, თბილისის „დინამოს“ მივულოცო საქართველოს ჩემპიონობა, თუმცა სასიხარულოდ ახლა არც დინამოელებს სცალიათ და არც ჩვენ — „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ფიზიოთერაპევტის, გოგიტა ლობჟანიძის ტრაგიკულად დაღუპვამ თითოეულ ჩვენგანზე დამთრგუნველად იმოქმედა, ის საოცრად კარგი ადამიანი იყო. ყველანი მისი ოჯახის გვერდით ვდგავართ.

რაც შეეხება რიგგარეშე არჩევნების თემას, ვფიქრობ, განცხადების ტექსტში ყველაფერი ნათლად არის გადმოცემული. როდესაც 35 სუბიექტიდან 34 განცხადებას ხელს აწერს და მხარდაჭერას გვიცხადებს, ამით ყოველგვარი მითქმა-მოთქმა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის აუცილებლობაზე ჩემთვის დასრულებულია და, ვფიქრობ, კომენტარიც ზედმეტია...

...განცხადებაზე მხოლოდ ვლადიმერ გუცაევის ხელმოწერა არ არის. სამწუხაროდ, ამ დღეებში მასთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ, თუმც იმედი მაქვს, გუცაევთან საუბრის შემდეგ ისიც გაიზიარებს ჩვენი საფეხბურთო ოჯახის საერთო პოზიციას.

**— შემთხვევით ვისარგებლებთ და, ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხსაც შევეხოთ...**

— სამშაბათს ბრანკო ივანკოვიჩი თბილისში ჩამოდის და მასთან მოლაპარაკებას აქ გავაგრძელებთ. თუმცა, როგორც იცით, ჩვენ სხვა კანდიდატურებიც გვყავს და საუბარს მათთანაც ვაგრძელებთ. ივანკოვიჩის თბილისში ჩამოსვლა არ ნიშნავს, რომ სხვებთან მოლაპარაკებას ვწყვეტთ. სავარაუდოდ, ოთხშაბათს ივანკოვიჩთან მოლაპარაკების დეტალებზეც შეგვეძლება ლაპარაკი.

**ძოტე ძეძელია**

## კომენტარები

**მურად ანჯაფარიძე:** „რიგგარეშე არჩევნების დანიშვნას საფუძველი სჭირდება. ფედერაციის ხელმძღვანელობას სერიოზული დარღვევები უნდა ჰქონდეს, მისი ქმედებები საქართველოს კანონმდებლობას და ფიფა-უეფას წესდებებს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რათა რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს. ჩემთვის ასეთი დარღვევების არსებობის თაობაზე ცნობილი არაფერია და შესაბამისად, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საჭიროებას და საფუძველს ვერ ვხედავ“.

**ზურაბ ფოცხვერია:** „თუ იმაზე ვლაპარაკობთ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ცუდი შედეგი აქვს, ეს არ შეიძლება, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საბაბი და საფუძველი იყოს. შეიძლება კამათი მწვრთნელის თაობაზეც, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტის შეცვლის საფუძველი არც ეს არის. გეხსომებათ, რაიმონ დომენეკმა საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, თუმცა ძალიან ბევრი მის მოხსნას ითხოვდა, ოლონდ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის შეცვლის საბაბი არც ეს გამხდარა...

ოპონენტთაგან სხვა არგუმენტები არ მომისმენია. ამასთანავე, ვთვლი, რომ ფედერაციის ახლანდელმა ხელმძღვანელობამ იმდენი რამ გაკეთა ნაკრებისთვის, რაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში აქამდე არ გაკეთებულა — ამხანაგურ მატჩებს, შეკრებებს და მსგავსი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას ვგულისხმობ.“

**ლექსო თოფურია:** „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას არ დაუშვია ისეთი შეცდომები, რაც რიგგარეშე არჩევნების ჩატარების აუცილებლობას მოიტანდა. შესაბამისად, როცა საფუძველი არ არსებობს, არაორდინალური გადაწყვეტილების მიღების მომხრეც ვერ ვიქნები“.

ერთი ტექნიკური დეტალიც: დღის წესრიგში რიგგარეშე არჩევნების ჩატარების საკითხი რომ დადგეს, ფედერაციის 4 სუბიექტის სურვილია საჭირო. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკითხი არ განიხილება. ხოლო თუ ეს საკითხი დღის წესრიგში დადგა, რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას 19-მა სუბიექტმა უნდა დაუჭიროს მხარი.

ამ განცხადების გამოქვეყნების მერე კი, ნათელია, რომ ოპონენტებს არათუ 19, საკითხის განსახილველად საჭირო 4 ხმაც არ აქვთ.



# სეზონი მორჩა!

**„ზესტაფონთან“** მატჩში თბილისის „დინამოს“ განაცხადში ვერ ამოვიკითხეთ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი მერებაშვილი, რამაც გაგვაკვირვა, თუმც შემდეგ მერებაშვილი ტრიბუნაზე ხელშეხვეული შევნიშნეთ და რა თქმა უნდა, გამოველაპარაკეთ: „მარცხენა ხელზე სამი თითი მაქვს მოტეხილი. მატჩამდე ორი დღით ადრე ვარჯიშზე უხერხულად დავეცი, თავიდან ძალიან არ მტკიოდა და ნაღრძობი მეგონა, მეორე დღესაც ვივარჯიშე, მაგრამ მერე ტკივილმა იმატა. სურათი გადავიღე და სამი თითი მოტეხილი აღმოჩნდა. თავიდან მითხრეს, ოპერაცია დაგჭირდებაო, თუმც ქუთაისში ექიმი მიმასწავლეს და მან მითხრა, უოპერაციოდ მოგარჩენო. სეზონი დავასრულე, ვარჯიშს სამ კვირაში განვაახლებ“.

**ნუძრი ლოლაძე**

# ალექსანდრე ჩივაძის გადამწყვეტი გოლი
## ლატვია — საქართველოს: მეგობრობა გზად და ხიდად

**ლატვიელმა** და ქართველმა ფეხბურთელებმა 80-იანი წლები გაიხსენეს — რიგის სტადიონზე ძველი მეგობრები ერთმანეთს ამხანაგურად გაეჯიბრნენ. თამაშს 200 მაყურებელი დაესწრო, ნამატჩევს კი, ცხადია, სამახსოვრო ფოტოები და ბანკეტი იყო...

1:0 — საქართველომ ალექსანდრე ჩივაძის 33-ე წუთზე გატანილით მოიგო. აღსანიშნავია, რომ ჩვენების ძირითად შემადგენლობაში 6 ისეთი კაცი იყო, რომლებმაც 1981 წლის 13 მაისს დაუვიწყარ ფინალში ითამაშეს.

*ლატვია: ლეონიდ დვორკინსი, ევგენის მილევსკისი, ალექსანდრს კანიშევსი, ალექსანდრს სოლომკა, ბორის დოლინსკისი, იურის აზაროვსი, სერგეის უტკინსი, სერგეის პავლენკო, სერგეის კარტაშოვსი, პაველს მამიკინსი, ანატოლის ჩებანსი, ვლადიმირს სლომომატინსი, ვასილის როკოვსი, ვალენტინს ნოზდრინსი, მორალის ლიტვინიუკსი, ალექსეის რომანჩუკსი, ვადიმს აინვირნსი, ალექსანდრ ოვჩინიკოვსი.*

*საქართველო: ოთარ გაბელია, ნოდარ ხიზანიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ქორიძე, დავით მუჯირი, გოჩა ჩიქოვანი, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე, ოთარ კორღალიძე, ვახტანგ კოპალეიშვილი, რამაზ შენგელია; გოჩა ჯოხაძე, გია ფირცხალავა, გია თავაძე, ლევან ბარათაშვილი, მამუკა აბუსერიძე, ბესარიონ მჭედლიშვილი, ნუკრი კაკილაშვილი, მანუჩარ მაჩაიძე, რევაზ ჩელებაძე, თამაზ კოსტავა, გრიგოლ ცაავა, ვაჟა ჟვანია, ბესიკ ჩიხრაძე, გიორგი ნემსაძე.*

**ილია ნანობაშვილი**



## საქართველოს 19 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა — 25 ტური

**აღმოსავლეთი**

ოლიმპი 2 1:2 ნ.დინ-მერანი 2
ოლიმპიკი 3:0 ამერი 2
დინამო 2 0:1 გაგრა
ჩიხურა 1:1 მეშაქრე
კახეთი 2:0 ვიტ ჯორჯია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 25 | 14 | 6 | 5 | 52:36 | 48 |
| მეშაქრე | 25 | 12 | 9 | 4 | 33:20 | 45 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 25 | 13 | 5 | 7 | 37:20 | 44 |
| დინამო 2 | 25 | 12 | 7 | 6 | 33:20 | 43 |
| ჩიხურა | 25 | 11 | 7 | 7 | 38:33 | 40 |
| კახეთი | 25 | 10 | 4 | 11 | 38:36 | 34 |
| ოლიმპი 2 | 25 | 8 | 8 | 9 | 31:35 | 32 |
| ამერი 2 | 25 | 9 | 2 | 14 | 40:39 | 29 |
| ოლიმპიკი | 25 | 6 | 4 | 15 | 34:50 | 22 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 25 | 1 | 6 | 18 | 19:66 | 6 |

**დასავლეთი**

მერანი (მ) 0:2 ხობი
კოლხეთი 1:0 ტორპედო
უნივერსიტეტი 2:1 მეშახტე
ზესტაფონი 2 0:0 მალაროელი
სამტრედია 3:0 ფაზისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 25 | 19 | 4 | 2 | 49:17 | 61 |
| მეშახტე | 25 | 13 | 2 | 10 | 38:36 | 41 |
| მერანი (მ) | 25 | 12 | 5 | 8 | 32:22 | 41 |
| ზესტაფონი 2 | 25 | 12 | 4 | 9 | 39:24 | 40 |
| ხობი | 25 | 10 | 7 | 8 | 35:25 | 37 |
| კოლხეთი | 25 | 9 | 7 | 9 | 30:33 | 34 |
| ტორპედო | 25 | 9 | 6 | 10 | 33:31 | 33 |
| სამტრედია | 25 | 9 | 4 | 12 | 35:46 | 31 |
| უნივერსიტეტი | 25 | 8 | 3 | 14 | 21:28 | 27 |
| ფაზისი | 25 | 2 | 2 | 21 | 17:67 | 8 |

*„ფაზისი“ მოხსნილია გათამაშებიდან*

# ასათიანის დაბრუნება და პატარა გოლები

**ქართველი** ლეგიონერების მიმოხილვა კახა კალაძით დავიწყოთ, „მილანის“ დღე იყო გუშინ: „მადონინაში“ ინტერს 2:1 სძლია, ამით ხომ გაიხარა და ცალკე „ფიორენტინამაც“ წააგო, რითაც „როსონერი“ მეოთხე ადგილზე ავიდა.

კალაძემ სრულად ითამაშა და თითქმის უშეცდომოდ — შეტევაში არ ჩართულა, დაცვაში კი გაუვალი გახლდათ.

ზურაბ ხიზანიშვილი ამჯერადაც განაცხადს მიღმა დარჩა, მისმა „ბლექბერნმა“ კი შინ 3:1 სძლია „დერბის“. ერთი ტურიღა დარჩა პრემიერლიგის დასრულებამდე და ვინძლო, ზურას გუნდმა მეშვიდედან მეექვსე ადგილზე ახტომა მოახერხოს, ეს კი უეფას თასის საგზურს იძლევა.

არც ლევან კობიაშვილს უთამაშია „შალკეში“ — სათადარიგო გახლდათ „ჰანოვერთან“ (1:1) საშინაო მატჩში, „ხუმარები“ კი მესამე ადგილზე არიან. სამაგიეროდ, კარლსრუელმა ალექსანდრე იაშვილმა მორიგი საგოლე პასი გააკეთა, ოღონდ მისმა გუნდმა ბერლინში „ჰერტასთან“ 1:3 დათმო და ცხრილის შუაში დაასრულებს ბუნდესსეზონს.

მეორებუნდესლიგელი ქართველებიდან მხოლოდ ილია კანდელაკმა ითამაშა, მისი „კარლ ცაისი“ 1:1-ზე გაეყარა „აუგსბურგს“ და არგავარდნისგან სასწაულიღა თუ უშველის.

მრავალმატჩიანი შესვენების შემდეგ სანდრო იაშვილმა „თუნში“ ითამაშა — „ლუცერნთან“ მეორე ტაიმში შევიდა შეცვლაზე, თუმცა ღირებული არაფერი გაუკეთებია. მისიანებმა 0:4 წააგეს და შვეიცარიულ სუპერლიგას ხელი დაუქნიეს.

ჩეხეთში კვლავ „ბოლესლავის“ მეორე გუნდში ითამაშა გიორგი განუგრავამ და „სლავიას“ დუბლებთან 2:1 მოგებაში თავისი წილი დაიდო: საგოლე პასი და გაფრთხილება მიითვალა. ჩეხეთის მეზობელ სლოვაკეთში კი, ირაკლი ლილუაშვილი „ნიტრაში“ არ გამოჩენილა.

რუსულ პრემიერლიგაში ყაზანის „რუბინმა“ შვიდმატჩიანი მოგებათა სერია მოსკოვის „სპარტაკთან“ საშინაო 0:3-ით შეწყვიტა. ჩვენიანთაგან მხოლოდ დავით კვირკველიამ (90 წუთი) ითამაშა და გაფრთხილება მიიღო.

ასევე 0:3 იგემა „ნალჩიკმა“ ოლეგ ბლოხინის „მოსკვასთან“. ალექსანდრე ამისულაშვილმა სრულად ითამაშა და ძელს გაარტყა ბურთი თავურით, დავით სირაძე კი 27-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და ყვითელი ბარათი მიიღო.

გუშინწინ კი მოსკოვის „ლოკომოტივმა“ შინ 2:2 ითამაშა ლევან გვაზავას (90 წუთი) „ლუჩ-ენერგიასთან“. სრულად ჩაათამაშა მატჩი მალხაზ ასათიანმაც, თუმც ვეჭვობთ, ეს იმის გამო, რომ მოსკოველთა ბრაზილიელი მცველი როდოლფო დისკვალიფიცირებული გახლდათ — რკინიგზელთა თავკაცმა რაშიდ რახიმოვმა ასათიანს რამდენიმე მატჩი გამოატოვებინა.

მალხაზის თანაგუნდელი დავით მუჯირი კი სათადარიგოთა იყო.

„რაც დავინახე, „ლუჩმა“ ორიდან ერთი გოლი თამაშგარედან გაგვიტანა“ — თქვა ასათიანმა.

უკრაინული ამბები დავით იმედაშვილისა და თემურ ფარცვანიას გოლებით დავიწყოთ: მათ „ზაკარპატიე“ — „დინამოს“ (1:6) დუბლების მატჩში თითო გოლი გაიტანეს. იმედაშვილმა ანგარიში გახსნა, ფარცვანიამ კი მეექვსე გოლი შეაგდო.

დუბლებში გამოირჩა სანდრო კობახიძეც — „დნიპრომ“ 2:0 მოუგო „ტავრიას“. სანდრომ მეორე შეაგდო.

„ზარიამ“ ქართული გოლით მოიგო. გიორგი ციმაკურიძემ „ნეფტიანიკთან“ მატჩში (1:0) პენალტი მოინადირა და თავადვე შეასრულა, ბოლო წუთებზე კი ტრავმის გამო შეცვალეს. „ზარიას“ მეორე ქართველი ლადო ბურდული განაცხადში არ ყოფილა...

მოლდოვაში დუბლი შეასრულა ჯაბა დვალმა და საამსეზონო გოლების რაოდენობა დაამრგვალა — 10 გაუხდა. დვალისა და ლევან კორღალიძის „დაჩიამ“ „ტილიგულს“ 3:0 სძლია, რითაც მერვე ადგილი, ფაქტობრივად, გაინაღდა.

მამუკა ლომიძის „ზიმბრუ“ 0:0-ზე გაეყარა „ბენდერს“; ვაჟა თარხნიშვილისა და ძმები ხორგუაშვილების ჩემპიონმა „შერიფმა“ კი 1:0 იმარჯვა.

ლატვიური ტური ქართველებისთვის იმით იყო გამოსარჩევი, რომ სკონტოელი დავით გამეზარდაშვილი და ვლადიმერ დვალიშვილი, ასევე ვენტსპილსელი ზურაბ მენთეშაშვილიც შეცვლაზე შევიდნენ. „სკონტომ“ შინ 1:2 წააგო „რიგასთან“, ხოლო „ვენტსპილსმა“ 2:0 სძლია „იურმალას“. მენთეშაშვილის გუნდი ლიდერია, თუმცა უფრო ცოტა ქულა აქვს დაკარგული თამაზ პერტაიას „დინაბურგს“ — ერთი თამაში მარაგში აქვს. სკონტოელ ზაალ ელიავას კი ძირითადი გუნდი დაანატრეს...

აზერბაიჯანში „გაბალამ“ სტუმრად 2:4 დათმო „თურანთან“, გაბალელთა ერთი გოლი კი თორნიკე აფციაურმა გაიტანა.

და ბოლოს სომხეთი: ქართველებით სავსე „განძასარმა“ სტუმრად 2:1 მოუგო „კილიკიას“. გამარჯვებულთაგან თავი გაგა თბილაშვილმა და დავით ხანიშვილმა გამოიჩინეს.

**ილია ნანობაშვილი**



მალხაზ ასათიანის (№30) აზრით, ეს გოლი თამაშგარედან გავიდა



ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი შოთა არველაძე კარიერას რომ ამთავრებს, გეცოდინებათ. „დინამოს“, „ტრაბზონსფორის“, „აიაქსის“, „რეინჯერსისა“ და „ალკმაარის“ ერთ-ერთი გამორჩეული მეგოლე ფეხბურთს 3 ივნისს, ეროვნულ სტადიონზე გამოემშვიდობება. მართალია, შოთას ამბებს ხშირად ვწერთ ხოლმე, თუმცა ქართველი თავდამსხმელით რუსული „სპორტიც“ დაინტერესდა და ჩვენც ამ ინტერვიუს მცირე შემოკლებით გთავაზობთ...**

# რა შემთხვევაში დაკარგავს შოთასთვის აზრს 3 ივნისი?

## ახლა რომ 25 წლის ვიყო...!

**— შოთა არველაძე კარიერას ასრულებს: ამის დაჯერება ძნელია...**

— შარშან ივლისში „ლევანტესთან“ ერთად მზადება დავიწყე, მაგრამ ორ კვირაში მუხლზე ოპერაციის გაკეთება დამჭირდა. ექიმებმა მითხრეს, რომ მალე გამოვჯანმრთელდებოდი, თუმცა ტკივილმა ისევ შემაწუხა და სექტემბერში მეორე ოპერაციის გაკეთება მომიხდა. სანამ საოპერაციო მაგიდაზე დავწვებოდი, უკვე ვეკითხებოდი ჩემს თავს, შევძლებდი თუ არა თამაშს ამის შემდეგ. ალბათ უფრო მაშინ გადავწყვიტე, რომ მალე უნდა წავსულიყავი.

**— მანამდე, ბოლოს როდის გქონდათ ჯანმრთელობის პრობლემა?**

— გლაზგოში, 4 წლის წინ ოპერაცია გადავიტანე იგივე მუხლზე, თუმცა სხვა ხასიათის ტრავმა იყო. როგორც ჩანს, ჩემი მუხლები ისე ძლიერი აღარ არის — ახალგაზრდა ხომ აღარ ვარ.

**— შარშან ზაფხულს „ალკმაარიდან“ „ლევანტეში“ თქვენი გადასვლა უცნაურ ნაბიჯად ითვლება — ჰოლანდიის ტოპ-კლუბიდან ესპანეთის აუსტაიდერში...**

— 35 წლის ასაკში ესპანეთიდან მივიღე წინადადება და როგორ უნდა მეთქვა უარი?! ბოლო 10 წელი გავატარე ქვეყნებში, სადაც მზე წელიწადში ორჯერ თუ გამოანათებს, დანარჩენი დროის განმავლობაში ღრუბელი და წვიმაა. მინდოდა გამეგო, რატომ უყვარს ყველას ეს ჩემპიონატი — ეს ჩემი ბოლო შანსი იყო. ბოლოს და ბოლოს, ესპანეთში კვირაში ერთი თამაში უნდა მეთამაშა და არა სამი. გასულ სეზონში მარტო უეფას თასზე 14 შეხვედრის ჩატარება მომიხდა... სამწუხაროა, რომ ყველაფერი ისე კარგად არ გამოვიდა, როგორც ჩანდა.

**— რამ განაპირობა „ლევანტეს“ ბოლო ადგილამდე დაქვეითება?**

— გუნდი, ფაქტობრივად, დაიშალა. 8 თვეა, ხელფასს არ გვიხდიან. სხვების არ ვიცი, მაგრამ მე აქამდე გამომუშავებული ფულით ვცხოვრობ.

**— არის იმის შანსი, რომ ასე უფულოდ დარჩეთ?**

— ვერ გეტყვით, ამ საკითხზე ადვოკატები მუშაობენ. თუმცა ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი რამ ესპანეთში მოხდებოდა. ეს ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ლიგაა.

**— მიმდინარე სეზონში ტრავმის გამო მხოლოდ სამ მატჩში მიიღეთ მონაწილეობა, თითოეულში დაახლოებით 10 წუთით. წარმომიდგენია, რას გრძნობთ: შოთა არველაძე და ასეთი სტატისტიკა...**

— დიახ, 3 მატჩი სეზონში — ეს მართლაც საწყენია. მეორე ოპერაციის შემდეგ ჩემს თავს პირობა მივეცი, რომ აქედან უთამაშებლად არ წავიდოდი. მადლობა ყველას, ვინც მოედანზე დაბრუნებაში დამეხმარა — ოჯახს, ექიმებს და „ლევანტეს“ მოთამაშეებს.

**— ესპანეთმა, როგორც ქვეყანამ, თუ გაამართლა თქვენი მოლოდინი?**

— საცხოვრებლად ესპანეთი საუკეთესო ადგილია. ჩემი სახლი ზღვასთან ახლოს არის. აი, ჩემპიონატი კი ისეთი არ არის, როგორიც შორიდან ჩანს — დონე უფრო დაბალია, ვიდრე ველოდი. ახლა რომ 25 წლის ვიყო... სამწუხაროა, რომ ბევრმა ნიჭიერმა ქართველმა ფეხბურთელმა ვერ შეძლო მაღალ დონეზე თამაში და კარიერა დაასრულა. ესპანეთში კი მათ შეეძლოთ, საუკეთესონი ყოფილიყვნენ.

**— თქვენი გამოსათხოვარი მატჩი 3 ივნისსაა...**

— ეროვნულ ნაკრებში ჩემი ბოლო მატჩი გლაზგოში, შოტლანდიასთან ჩავატარე. სწორედ მაშინ ვთქვი, რომ ნაკრებში აღარ ვითამაშებდი. მაგრამ ყოველთვის მინდოდა, ნაკრებში ბოლო შეხვედრა თბილისში ჩამეტარებინა და ქართველ ხალხს დავმშვიდობებოდი. სამწუხაროდ, ისე გამოვიდა, რომ ნაკრებს უახლოეს პერიოდში ამხანაგური მატჩები თბილისში არ ჰქონდა. საგანგებოდ ჩემთვის მეტოქის ძებნაც დაიწყეს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის გამო არაერთ პრობლემას წააწყდნენ. იყო მექსიკისა და პარაგვაის ვარიანტები, თუმცა არაფერი გამოვიდა. მერე კი არამარტო სანაკრებო, საერთოდ კარიერის დასრულება გადავწყვიტე. შეიცვალა იდეა და დავნიშნეთ მეგობრების მატჩი.

**— სტუმართა სიაში არიან ფეხბურთელები, რომლებთანაც არამარტო კლუბებში, არამედ ჩემპიონატებშიც არ გქონიათ შეხება. რამდენად ახლო ურთიერთობა გაკავშირებთ ანდრეი შევჩენკოსთან, ლუიშ ფიგუსთან და პაოლო მალდინისთან?**

— ახლო ურთიერთობა არ მაქვს. შევას შევხვედრივარ როგორც მოწინააღმდეგეს, მატჩების შემდეგ გვისაუბრია და მაისურები გაგვიცვლია. ფიგუმ რამდენჯერმე ALL STAR GAME-ზე მიმიწვია. მალდინისთან ერთად რამდენჯერმე მისადილია მილანში, როცა კახა კალაძესთან ჩავსულვარ.

**— როგორ გაანაწილებთ თქვენს ვარსკვლავ სტუმრებს?**

— იდეა ასეთია: საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელები თამაშობენ პირველ ტაიმს, შემდეგ მათ ახლანდელი მოთამაშეები შეცვლიან. მოწინააღმდეგე იქნება არველაძის მეგობართა გუნდი. მე ორივე გუნდის შემადგენლობაში ვითამაშებ.

**— პირველად ვინ მიიწვიეთ?**

— რონალდ და ფრანკ დე ბურები, რომლებთან ერთადაც „აიაქსში“ და „რეინჯერსში“ ვთამაშობდი. შემდეგ მიქაელ ლაუდრუპი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ როგორც ადამიანს და როგორც ფეხბურთელს. მას დავურეკე და ვუთხარი, რომ თუ არ ჩამოვიდოდა, ეს მატჩი ჩემთვის მნიშვნელობას დაკარგავდა. ჩამოვა ბრაიან ლაუდრუპიც. ვესაუბრე კლაუდიო კანიჯასაც და ჩამოსვლას ისიც დამპირდა.

კვარციტი QUARTZITE

# ლეინი ეროვნულმა გაართა


ტიმ ლეინი და ლევან ცაბაძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ლოკომოტივი 36:15 აია**

**ლოკომოტივი:** უდესიანი, მარსაგიშვილი, კობერიძე, ბერძენიშვილი, ქავთარაძე; კვინიხიძე, ღვინჯილია; მაისურაძე, ახვლედიანი, გენებაშვილი, კორკოტაძე, გუჯარაიძე, ნაცარაშვილი, ტურაშვილი, პეტრიაშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ:* შიოშვილი, ნიშნიანიძე, ჩაბრაძე, ასათიანი, ანდღულაძე

*5ლ:* მაისურაძე, ქავთარაძე, ბერძენიშვილი, ღვინჯილია, შიოშვილი; *4გ:* კვინიხიძე; *ჯ:* კვინიხიძე

**აია:** შალამბერიძე, სორდია, ბალანჩივაძე, ხარატიშვილი, გოგლიჩიძე; სინაურიძე, როხვაძე; ძაგნიძე, დიაკონიძე, ჩიქვინიძე, რევიშვილი, კანკაძე, იობიძე, სხულუხია, ტორაძე

*შეცვლაზე შევიდნენ:* გუდავა, გურგენიძე, ლომიძე, გიორგიძე, მოდებაძე, ფრუიძე, თხელაძე

*2ლ:* სინაურიძე, გუდავა; *1გ:* სინაურიძე; *ჯ:* სინაურიძე

**თსუ 13:8 არმაზი**

**ლელო 22:19 დინამო**

**ყოჩები 21:10 აკადემია**

**რაგბიში** საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო და პირველი ტურიც გაიმართა. ამჯერად უმაღლეს ლიგაში 8 გუნდი თამაშობს — შარშანდელ ექვსეულს „აია“ და „აკადემია“ შემატა, რითაც, სავარაუდოდ, გათამაშება უფრო მაშტაბური, სანახაობრივი და დაძაბული გახდება.

რაც შეეხება პირველ ტურს, გეტყვით, რომ სენსაცია არ მომხდარა. მოიგო ყველამ ვისაც უნდა მოეგო.

ტური „ლოკომოტივისა“ და ქუთაისის „აიას“ შეხვედრით მორჩა. მატჩი „ლოკომოტივის“ სათადარიგო მოედანზე გაიმართ. მას საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინი და თითქმის, თბილისის მთელი სარაგბო თემი დაესწრო. რკინიგზელთა და ქუთაისელთა მატჩამდე ამხანაგური შეხვედრა გაიმართა თბილისისა და იმერეთის ვეტერან მორაგბეებს შორის. თამაში საქართველოს ნაკრების პირველი კაპიტნის, ტრაგიკულად დაღუპული ოლეგ ლიპარტელიანის ხსოვნას მიეძღვნა. ვეტერანებმა შეხვედრა ფრედ, 10:10 დაასრულეს და აქვე დღის მთავარი ორთაბრძოლაც დაიწყო.

საწყის ხუთწუთეულში გამოცდილი და ტიტულიანი „ლოკომოტივი“ აგრესიულად ეკვეთა უმეტესწილად ნორჩი მოთამაშეებით დაკომპლექტებულ „აიას“. ქუთათურები მოძალებას მედგრად დაუხვდნენ და მათი პირველივე მრავალპასიანი კონტრშეტევა ლელოთი დასრულდა. ხუთი ქულა გამთამაშებელმა სინაურიძემ მიითვალა. ლელოს შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ „ლოკომოტივის“ გამოცდილება მაინც თავისას გაიტანდა. შერკინების მიძალების წყალობით, საპასუხო ლელო სტუმრებს მაისურაძემ დაუდო. ქუთაისელები ვაჟკაცურად კი იბრძოდნენ, მაგრამ პირველ ტაიმში ბერძენიშვილმა კიდევ ერთხელ დაალელოვა ისინი. აქვე გეტყვით, რომ იმ დღეს კობახიძე მშვენივრად ურტყამდა საჯარიმო-გარდასახვებს. მართალია, მას პირველი გარდასახვა გაუფუჭდა, მაგრამ შემდეგი ოთხი, და ამ ოთხიდან ორი თითქმის აუტის ხაზიდან, გაიტანა.

მეორე ნახევარშიც მასპინძლების უპირატესობა კლასში ბურთის კონტროლში არა, მაგრამ შედეგში კი აისახა. რკინიგზელებმა კიდევ სამ ლელოს ერთი საჯარიმოც შეჰმატეს. სტუმრებმა მეორე ნახევარში ერთადერთი, თუმც ეფექტური ლელო გააჩერხეს თავისი გარდასახვითურთ. „აიას“ ქულათა გუდას სინაურიძემ საჯარიმოთი მოუკრა თავი.

როგორც გითხარით, მატჩს ტიმ ლეინიც ესწრებოდა. მას საქართველოს ჩემპიონატზე კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ: „შეხვედრებს შაბათსაც და კვირასაც დავესწარი. თსუ — „არმაზის“ თამაშში ორივე გუნდის პირველხაზელები მომეწონა. დღეს ქუთაისელთაგან სასიამოვნოდ გამაოცეს მეცხრე (როხვაძე) და მეათე (სინაურიძე) ნომრებმა. მოკლედ, საქართველოს ჩემპიონატში არიან მორაგბეები, რომელთა პოტენციალი დიდია და შეიძლება, მომავალში ისინი ნაკრებშიც ვიხილოთ. რა თქმა უნდა, ამ ბიჭებს გამოცდილება აკლიათ, თანაც ერთი თამაშის ნახვით დასკვნებს ვერ გამოვიტან. ერთი თვის განმავლობაში სისტემატიურად ვივლი ჩემპიონატის თამაშებზე და ყველას დავაკვირდები. ვფიქრობ, საინტერესო მორაგბეებს აღმოვაჩენ“ — გვითხრა ტიმ ლეინმა.

**ზურაბ მიგრიაული**


სანამ მორკინალები შერკინებაში გაერთნენ, ქუთაისელმა გიორგი როხვაძემ შეტევა წამოიწყო

ბადრი კეთილაძის ფოტო



## საქართველოს მე-18 ჩემპიონატი კაცები. მეორე წრე

3 მაისი

**თბილისი 53:12 ქუთაისი**

**თბილისი:** ანდრიაძე, გონჩაროვი, ქარდავა (28 გოლი), ქუთათელაძე (6), მაისურაძე (4), ყაველაშვილი (4), ლაღანიძე (3), ტორონჯაძე (3), ჯიშკარიანი (1), ფლენტი, გელაშვილი

**ქუთაისი:** ხინგავა, შიშინაშვილი, ადამია (3), შარაშენიძე (3), ცერცვაძე (3), ხვანიძე (1), ჩხეიძე (1), გ. გობეჯიშვილი (1), დოლაკიძე, ტულუში, სიხარულიძე, ჯანაშია

*მსაჯები:* ნ. ელოშვილი, ო. ჭკუასელი

4 მაისი

**თბილისი 45:19 მამული**

**თბილისი:** ანდრიაძე, გონჩაროვი, ქარდავა (14), მაისურაძე (10), გელაშვილი (4), ქუთათელაძე (4), წივწივაძე (4), ჯიშკარიანი (4), ტორონჯაძე (2), ლაღანიძე (2), ფლენტი (1), ყაველაშვილი

**მამული:** ბერეკაშვილი, ქუთათელაძე (6), გველესიანი (5), ჩიხლაძე (4), ლობჟანიძე (2), თეთრუაშვილი (2), ზაქარეიშვილი

*მსაჯები:* ე. არაბული, თ. არჩაია

**სტუ 53:16 ქუთაისი**

**სტუ:** თევზაძე, ა. ყიფიანი (25), საჯაია (6), ჯორბენაძე (5), გოგალაძე (5), გ. ჩიქოვანი (4), ი. ჩიქოვანი (4), ტალახაძე (3), ნიკოლაიშვილი (1), ზაალიშვილი (1), მელქოშვილი, კობახიძე

**ქუთაისი:** შიშინაშვილი, ცერცვაძე (5), დოლაკიძე (3), ჩხეიძე (3), შარაშენიძე (2), ადამია (2), გ. გობეჯიშვილი (1), ტულუში, ჯანაშია, სიხარულიძე, ნიკურაძე

*მსაჯები:* ნ. ელოშვილი, ი. ჭკუასელი

*მეგოლეები:* ამირან ყიფიანი 153 (სტუ-თელავი), ვანო ქარდავა 142 (თბილისი), გიორგი წივწივაძე 101 (თბილისი)

# ჩაშლილი თამაში და თევზაძის დაბრუნება

**გასულ** უქმეებზე ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზმა ხელბურთელთა ჩემპიონატის ბოლო ტურის სამ შეხვედრას უმასპინძლა. დღეს გუნდები კიდევ თითო თამაშს მოილევენ და საპლეიოფოდ მოემზადებიან. სამი თამაში კი იმიტომ ჩატარდა, რომ შაბათს „მამული“ „სტუ-თელავთან“ არ გამოცხადდა და ავტომატურად 10:0 წაგება ჩაეთვალა.

შაბათის მეორე მატჩში „თბილისმა“ „ქუთაისს“ მოლოდინისამებრ იოლად მოუგო და ბურთების ბალანსით მთავარ მეტოქე სტუელებს კიდევ უფრო გაექცა.

კვირას მამულელებმა, როგორც იქნა, მოახერხეს 7 ხელბურთელის თავმოყრა და „თბილისთან“ დაპირისპირება. ერთი ეგაა, სათადარიგოთა სკამი ცარიელი იყო და ვინმეს ტრავმის შემთხვევაში კაცნაკლულებს მოუწევდათ თამაში. „თბილისს“ მოგება ისედაც არ გაუჭირდებოდა, ამიტომ იმის ცდაში იყო, გუნდის მეგოლე ვანო ქარდავასთვის მეტი ბურთი გაეტანინებინა. ჩემპიონატი ფინიშისკენ მიდის და ბევრი ფიქრობდა, მეგოლეებში წინ გაჭრილ ამირან ყიფიანს (სტუ-თელავი) ვერავინ დაეწევაო, თუმცა შაბათის გაუქმებულმა თამაშმა ქარდავას შანსი მისცა, რაკილა 28 გოლი გაიტანა და ყიფიანს კვირის თამაშებამდე გაუთანაბრდა კიდეც.

სტუელებმაც დიდწილად სწორედ ამირან ყიფიანზე ითამაშეს და ეს კარგადაც გამოუვიდათ. ყიფიანმა 25 გოლი გაუტანა „ქუთაისს“ და მეგოლეთა სათავეშიც ერთპიროვნულად გალიდერდა.

ისიც ვთქვათ, რომ შოთა თევზაძე ჩემპიონატს დაუბრუნდა. ნაკრების მთავარი მეკარე შვედურ „მალმიოდან“ წამოვიდა და „სტუ-თელავს“ სეზონის ბოლომდე დაეხმარება. შოთა თბილისში წინა ტურების დროსაც კი იყო, მაგრამ მაშინ თამაშის უფლება არ ჰქონდა, ახლა კი ჩვეული გულმოდგინებით იცავდა სტუდენტების კარს. თევზაძე რომ „სტუსთვის“ დიდი ძალა იქნება, ამას თქმაც არ უნდა.

**ლევან მაისურაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 12 | 0 | 2 | +306 | 24 |
| სტუ | 14 | 12 | 0 | 2 | +260 | 24 |
| მამული | 14 | 2 | 0 | 12 | -254 | 4 |
| ქუთაისი | 14 | 2 | 0 | 12 | -312 | 4 |



# ისევ ბიძინაშვილი, ისევ კოდუა

**4 მაისს** რუსთავის ავტოდრომზე საქართველოს საავტომობილო ეროვნული ჩემპიონატის „2008 წლის რომპეტროლის სეზონის“ წრიული რბოლის მეორე ეტაპი გაიმართა. რბოლაში მონაწილეობდნენ როგორც პროფესიონალები, ასევე იუნიორებიც. საინტერესოდ წარიმართა პროფესიონალთა შეჯიბრი. 11 პილოტიდან ფინიშამდე მხოლოდ შვიდმა მიაღწია. გამარჯვებული პირველი ტურის მსგავსად, ახლაც „ჰონდა სივიკით“ მოჯირითე არჩილ ბიძინაშვილი გახდა. მეორე ადგილზე დავით ქაჯაია გავიდა, ხოლო მესამე საპრიზო ადგილს სანდრო ლობაძე ეწია.



იუნიორებში კვლავაც გიორგი კოდუამ იმარჯვა. მეორეზე დათო მენთეშაშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილს დიმიტრი ქობულია დაეპატრონა.

**ზურაბ მიგრიაული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA პლეი ოფი

# ზაზას ზარები



## პირველი წრე

2 მაისი

### აღმოსავლეთი

**ბოსტონი 3:3 ატლანტა**

**ატლანტა 103:100 ბოსტონი**

**ატლანტა:** ბიბი (17), ჯონსონი (15), უილიამსი (18), სმიტი (11), ჰორფორდი (16); ჩილდრესი 15) ფაჩულია (28 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა), ლოუ (2), ჯონსი, ვესტი
**ბოსტონი:** რონდო (8), რ. ალენი (20), პირსი (17), გარნეტი (22), პერკინსი (14); პოუი (9), პოუზი (6), კასელი (4), ტ. ალენი, ბრაუნი, ჰაუსი, დევისი

თამაში რომ დამთავრდა, საყოველთაო ატლანტურ ეიფორიაში ზაზა ფაჩულიამ საიდანღაც მიკროფონი აიტაცა და ჩასძახოდა — „ჩვენ მივდივართ მეშვიდეს სათამაშოდ! ოოოოოოო!“ „მეშვიდეს, მეშვიდეს, მეშვიდეს!“ მხარს უბამდა 20 ათასი ატლანტელი.

„13 წელია ამ ლიგაში ვარ, ამ ქალაქში ყოველ წელიწადს ჩამოვდივარ და ასეთი სიტუაცია აქ არასდროს დამხვედრია...“ — ხელებს შლიდა ბოსტონელი კევინ გარნეტი. მისმა „ბოსტონმა“ საგიჟეთად ქცეულ ატლანტაში მესამე გასვლაც წააგო და მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. „ატლანტას“, რომელიც პლეი ოფშიც კი წვალებით გავიდა, რეგულარული ჩემპიონატის უზარმაზარი უპირატესობით მომგებ „ბოსტონთან“ 0:4 მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ, და რა გამოვიდა? მაშინ, როდესაც არაერთი ბობოლა გუნდი, მაგალითად „ფინიქსი“, „დალასი“ და „ჰიუსტონი“ 1:4 ან 2:4 დამარცხებულები გააპანღურეს პირველი წრიდან, ეს ჭიაყელა გუნდი ამხელა „ბოსტონს“ გაექაჩა და მეშვიდე მატჩამდე მიუყვანა საქმე.

რომ გაუვარდეს და ბოსტონშიც მოიგოს? ო, არა, ამის წარმოდგენაც კი არ სურთ ბოსტონელებს. მათ სახლში სამი თამაში საშუალოდ 22 ქულით მოუგეს ატლანტელებს და სავარაუდოდ, სერიის მეშვიდე შეხვედრასაც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულებენ, მაგრამ ის, რომ ჯონსონმა, ბიბიმ, ჰორფორდმა, სმიტმა, უილიამსმა, ჩილდრესმა და ფაჩულიამ აქამდე გაუწელეს საქმე, ხალხს უკვე აღტაცებით განაწყობს პლეი ოფის ამ დროებითი სტუმრების მიმართ.

საუკეთესო თამაში ჩაატარა ზაზა ფაჩულიამ. წინა ხუთ შეხვედრაში მას თითქმის არ უგროვებია ქულა-მოხსნები, საშუალოდ 13 წუთი თამაშობდა და სულ რაღაც 2,6 ქულასა და 2 მოხსნას აგროვებდა. მისი უშუალო მოვალეობა გარნეტის განეიტრალება იყო და დავალებას კარგადაც ასრულებდა. ზაზას თვალშისაცემი სტატისტიკა არც ახლა ჰქონდა, თუმც 9 ქულა და 6 მოხსნა მაინც მოაგროვა და პლეი ოფის პირადი რეკორდებიც დაამყარა. მან თამაშიდან ოთხჯერ შეუტია „ბოსტონის“ კალათს და სამჯერ ჩააგდო, ფარქვეშ აქტიურობის წყალობით კი შვიდჯერ მოუწია საჯარიმოს ტყორცნა და ერთით მეტი რომ გამოეყენებინა, ქულათა მონაგარს ორნიშნა რიცხვით გამოხატავდა. თანაც ფაჩულიამ არც მთავარი საქმე დაივიწყა და გარნეტსაც არ მოაკლო მზრუნველი ყურადღება. და კიდევ ერთ რამ ზაზას თაობაზე: მისი ნაყოფიერების კოეფიციენტი +11 გახლავთ და ამდენი არც ერთ ატლანტელს არ ჰქონია. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ გამარჯვებულთა შორის სწორედ ქართველი იყო საუკეთესო და ჯო ჯონსონზე, მაიკ ბიბიზე ან თუნდაც ალ ჰორფორდზე წინ იდგეს.

**კლივლენდი 4:2 ვაშინგტონი**

**ვაშინგტონი 88:105 კლივლენდი**

**ვაშინგტონი:** ჯემისონი (23 ქულა, 15 მოხსნა), ბატლერი (18), შეივუდი (13 ქულა, 10 მოხსნა), სტივენსონი (10)
**კლივლენდი:** ჯეიმსი (27 ქულა, 13 მოხსნა, 13 პასი), შჩერბიაკი (26), გიბსონი (22), ილგაუსკასი (12)

ამ სერიამ უამრავი უსიამოვნო რამ დაიტია: უზრდელური შელაპარაკებები, არასპორტული, მძიმე ჯარიმები, 13 ტექნიკური საჯარიმო და ერთიც გაგდება თავისი დისკვალიფიკაციით.

მაგრამ ბოლო სიტყვა, რა გასაკვირია და, მაინც ლებრონ ჯეიმსს დარჩა და ეს სიტყვა ერთობ შთამბეჭდავი გამოვიდა — კლივლენდელმა ვარსკვლავბიჭუნამ 27 ქულას 13 მოხსნა და 13 პასიც მოაყოლა და ასე მოუთავა ხელი „ვაშინგტონს“, რომელიც ყველა დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხით ცდილობდა შარშანდელი ფინალისტის დაშინება-დაჩაგვრას.

**იუტა 4:2 ჰიუსტონი**

**იუტა 113:91 ჰიუსტონი**

**იუტა:** უილიამსი (25 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა), ოქური (19 ქულა, 13 მოხსნა), ბუზერი (15 ქულა, 10 მოხსნა), ბრიუერი (13), კირილენკო (10), კორვერი (10), ჰარპრინგი (10)
**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (40 ქულა, 10 მოხსნა, 5 პასი), სკოლა (15)

ტრეისი მაკგრეიდი ვალმოხდილი კი ტოვებს პლეი ოფს — ბოლო თამაშში მან „იუტას“ 40 ქულა და 10 მოხსნა გაუკეთა, მაგრამ ეს ოდნავ თუ მატებს პრესტიჟს. რეალურად მაკგრეიდი ისევ იქ ჩარჩა, საიდანაც მთელი ცხოვრება ცდილობს თავის დაღწევას — ის ხომ არასდროს გასულა პლეი ოფის პირველი წრიდან და ამ მოჯადოებულ წრეს თავი ვერც ახლ დააღწია. „იუტა“ ფრიად წონადი გამოდგა მისთვის და მისი გუნდისთვის. დიახ, „თიმეკი“ შეუდარებელი იყო, მაგრამ მის გარდა ჰიუსტონელთაგან მხოლოდ სკოლამ მოიხვეჭა ქულები ასე თუ ისე საპატიო ოდენობით, იუტელთაგან კი ერთბაშად შვიდმა გააკეთა 10 და მეტი ქულა.

## მეორე წრე

3 მაისი

### აღმოსავლეთი

**დეტროიტი 1:0 ორლანდო**

**დეტროიტი 91:73 ორლანდო**

**დეტროიტი:** ბილაფსი (19), ჰამილტონი (17), პრინსი (12), მაქსველი (12), მაკდაისი (10)
**ორლანდო:** თურქოღლუ (18), ლუისი (18), ჰოვარდი (12)

„დეტროიტმა“ „ორლანდოსთან“ სერია გაცილებით უფრო კონცენტრირებულმა დაიწყო, ვიდრე „ფილადელფიასთან“ და აკი პირველი დამაჯერებელი მოგებით დაუფასდა. დეტროიტულმა დაცვამ უბრალოდ მოკლა ორლანდოელთა შეტევები. სტუმრებს საერთოდ არაფერი არ გამოუვიდათ — პირველ წრეში ქულა-მოხსნების ოც-ოცობით მკეთებელი დუაიტ ჰოვარდი რაშიდ ვოლესის მკლავებში ჩაიკარგა, რაშარდ ლუისმა კინკილა სამქულიანიც ვერ მოინადირა, ჰედო თურქოღლუ ექვსი პერსონალურით გავარდა, ჯამეერ ნელსონს (7 ქულა, 5 პასი) კი გაკვეთილი ჩაუტარა ჩონსი ბილაფსმა (19 ქულა, 7 პასი). მოკლედ ეს თამაში იყო „დეტროიტის“ მრავალნაცადი დაცვითი თამაშის სრული ბენეფისი.

### დასავლეთი

**ნიუ ორლეანი 1:0 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი 101:82 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (30), სტოიაკოვიჩი (22), პოლი (17 ქულა, 13 პასი, 4 ჩაჭრა), ჩანდლერი (10 ქულა, 15 მოხსნა), ველსი (10)
**სან ანტონიო:** პარკერი (23), ჯინობილი (19), ბოუენი (17), ფინლი (13)

საინტერესო სერია უნდა გამოვიდეს და ეს პირველმა მატჩმაც დაადასტურა. „ნიუ ორლეანის“ თავკაცმა ბაირონ სკოტმა, რომელიც რამდენიმე დღის წინ ლიგაში კოლეგათა შორის საუკეთესოდ დაასახელეს, აჯობა სანანტონიოელ ოპონენტ გრეგ პოპოვიჩს. პოპმა გათვლა კრის პოლზე გააკეთა და გუნდი „კრაზანა“ გამთამაშებლის გასაჩერებლად მომართა, მაგრამ სკოტმა თავისი გუნდის თამაში არა პოლზე, არამედ თავდამსხმელებზე ააგო და შედეგად 19 ქულით დაამარცხა 4-გზის ჩემპიონები. „ნიუ ორლენის“ მძიმე ფორვარდმა დევიდ ვესტმა 30 ქულა და 9 მოხსნა გააკეთა და რაც მთავარია, პიწმინდად დაჩაგრა ნბა-ს ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდი ტიმ დანკანი, ვინაც ეს თამაში კატასტროფულად ცუდად ჩაატარა, 9 სროლიდან 8 ააცილა და ოდენ 5 ქულა და 3 მოხსნა შეაკოწიწა. ვესტს არც მსუბუქი ფორვარდი პეჯა სტოიაკოვიჩი ჩამორჩა, ვინაც მასპინძლებს 22 ქულა მიაშველა, მისი ოპონენტი ბრიუს ბოუენი კი, იმის მაგივრად, რომ სერბისთვის მიეხედა და დაცვაში ემუშავა, შეტევაში გაერთო.

**ივანე ძოზიაშვილი**



# კობის ფასი დაედო

**კობი ბრაიანტმა** მოიგო სეზონის უძვირფასესი მოთამაშის გამოსავლენი გამოკითხვა — იუწყება გაზეთი „ლოს ანჯელეს ტამსი“. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას ჯერ არ გამოუმზეურებია გამოკითხვის შედეგები, ბრაიანტის კლუბ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ოფისშიც ამბობენ, ამის თაობაზე ლიგიდან არანაირი ოფიციალური შეტყობინება არ მოგვსვლიაო, მაგრამ ისევ და ისევ „ლოს ანჯელეს ტაიმსის“ ცნობით, ყველაზე პრესტიჟული ჯილდო სწორედ ბრაიანტმა მოიგო და ნბა-ს კომისრი დევიდ შტერნი ამ კვირაში ჩავა „ლოს ანჯელესში, რათა „იუტასთან“ ერთ-ერთი თამაშისას გადასცეს პრიზი.

ამგვარად, კობი ბრაიანტი და არა ლებრონ ჯეიმსი ან კრის პოლი... ბრაიანტი ნბა-ში მოსვლის დღიდან ამ ლიგის ერთ-ერთი სახეა, თუმც უძვირფასესობა არასდროს შეხვედრია, ისევ და ისევ თავისი ეგოისტური თამაშის მანერის გამო. 2003 და 2007 წლებში ის მესამე იყო გამოკითხვაში (ამ წლებში უძვირფასესები, შესაბამისად, ტიმ დანკანი და დირკ ნოვიცკი გახდნენ), თუმც საუკეთესოდ აღიარებისგან მაინც ძალიან შორს იდგა. წლეულს კი ჟურნალისტებმა ის გამოარჩიეს, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის მიხედვით, მას ბევრად უკეთესი სეზონებიც ჰქონდა — 2007-08 წლებში მან საშუალოდ 28,3 ქულა აგროვა და თითქმის ორი ქულით ჩამორჩა ლებრონ ჯეიმსს, მაგრამ ბრაიანტმა უფრო გუნდურად თამაში იწყო და მისმა „ლეიკერსმაც“ რეგულარულ ჩემპიონატში 57 გამარჯვებით დასავლეთ კონფერენციაში პირველი ადგილი დაიკავა. კობის აღიარების მიზეზიც დიდწილად ეს უნდა იყოს.

**ივანე ძოზიაშვილი**

## ჭადრაკი

### ფიდეს გრან-პრი

ბაქო. აზერბაიჯანი. 20 აპრილი-6 მაისი

X ტური

| | | |
|---|---|---|
| ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) |
| მაგნუს კასრლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0:1 | ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ვან იუე (ჩინეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |
| ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაიკლ ადამსი (ინგლისი) |

XI ტური

| | | |
|---|---|---|
| ივან ჩეპარინოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0,5:0,5 | ვუგარ გაშიმოვი (აზერბაიჯანი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კასრლსენი (ნორვეგია) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) | 0:1 | ერნესტო ინარკიევი (რუსეთი) |
| ვან იუე (ჩინეთი) | 1:0 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვან იუე | 7 | 8. გატა კამსკი | 5,5 |
| 2. ალექსანდრ გრიშჩუკი | 7 | 9. ეტიენ ბაკრო | 5 |
| 3. ვუგარ გაშიმოვი | 6,5 | 10. ივან ჩეპარინოვი | 5 |
| 4. შაჰრიარ მამედიაროვი | 6 | 11. სერგეი კარიაკინი | 5 |
| 5. მაგნუს კარლსენი | 6 | 12. პიოტრ სვიდლერი | 4,5 |
| 6. მაიკლ ადამსი | 6 | 13. ერნესტო ინარკიევი | 4,5 |
| 7. თეიმურ რაჯაბოვი | 5,5 | 14. დავიდ ნავარა | 3,5 |

# ნავაროს ორი ვარიანტი

**„შედეგით** გაოცებული და უკმაყოფილო ვარ, მე თამაშის გაგრძელება მსურდა, მაგრამ ველარ გავრისკე და ყაიმს დავთანხმდი" — განაცხადა 17 წლის მაგნუს კარლსენმა დავიდ ნავარასთან მატჩის შემდეგ.

სამაგიეროდ კარგ ხასიათზე იყო ნავარო. ტურნირის ფავორიტთან ნახევარი ქულის აღება, თანაც შავი ფიგურებით, ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის. „ამ შეჯიბრზე ჯერჯერობით ორი ვარიანტი არსებობს, ყაიმი ანაც ჩემი წაგება. ეს ნახევარი ქულა ნორმალურია და ვეცდები, დანარჩენ პარტიებში შედეგი გავიუმჯობესო" — თქვა ნავარომ.

**ლაშა გეგეჭკორი**

ევროპის ჩემპიონატი. 20 აპრილი – 4 მაისი. პლოვდივი. ბულგარეთი

# ევროპამ მსოფლიოსკენ გაიწია
## ქართველებს ორი საგზური ერგოთ

**ჰოლანდიის** სახელით მოთამაშე სერგეი ტივიაკოვი ვაჟთა შორის ევროპის ჩემპიონი გახდა. მან 8,5 ქულა დააგროვა, მდევრებს ნახევარი ქულით გაუსწრო და 15 ათასი დოლარიც აიღო.

ტაი-ბრეიკებით გაირკვა დანარჩენი ორი მედალოსნის ვინაობა, რადგანაც მეორეზე ერთბაშად 9 მოჭადრაკე გავიდა. გადათამაშებაში კი ყველაზე ძლიერი სლოვაკეთის სახელით მოასპარეზე სერგეი მოვსესიანი აღმოჩნდა, მან ყველა მეტოქე დაამარცხა და ვერცხლის მედალთან ერთად 10 ათასი დოლარიც შეირგო. მესამე და 8 ათასი კი რუს სერგეი ვოლკოვს ხვდა წილად.

ჩვენებიდან ყველაზე უკეთ დავით მაღალაშვილი გამოვიდა. ბოლო ტურში მან თეთრებით ბელორუსი ალექსეი ალექსანდროვი დაამარცხა, 7 ქულა მოიხვეჭა და დამატებითი მაჩვენებლებით 51-ე ადგილს დასჯერდა.

23 საუკეთესო მოჭადრაკე 2009 წელს, ფიდეს მსოფლიოს თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

მანდილოსნებში პირველობა არავის დაუთმო 19 წლის უკრაინელმა კატერინა ლაჰნომ. მან 8,5 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალთან ერთად 6 ათასი დოლარიც ჩაიჯიბა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელები აქაც ტაი-ბრეიკებში გაირკვა. მეორე ადგილი ლიტველმა ვიკტორია ჩმილიტემ დაისაკუთრა, მესამე კი — უკრაინელმა ანა უშენინამ.

ნანა ძაგნიძემ და მაია ლომინეიშვილმა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურები მოიპოვეს. მათ ტაი-ბრეიკებში იყოჩაღეს.

მათ გარდა საგზური კიდევ თორმეტმა მონაწილემ მიიღო.

გაგაცნობთ პრიზიორებისა და ქართველების შედეგებს:

**ლაშა გეგეჭკორი**

## ჭიდაობა

# პეკინში ალბათ ხუთნი იქნებიან

**პოლონეთის** დედაქალაქ ვარშავაში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ბოლო სალიცენზიო ტურნირი დამთავრდა. ბესო გუჩაშვილს (55 კგ) მალხაზ ქურდიანმა (60 კგ) და ალექსი მოდებაძემ (84კგ) მხარი ვერ აუბეს და ულიცენზიოდ დარჩნენ. ქურდიანმა პირველივე წრეში წააგო, მოდებაძემ კი ბრინჯაოს მედალი აიღო, თუმც ეს ლიცენზიისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩინეთის საგზურებს საუკეთესო სამეული ინაწილებდა და, სამწუხაროდ, ჩვენებური მეორე მესამეადგილოსან რუმინელ რარეშ ჩინტოანს ქულებით ჩამორჩა.

ასე რომ, პეკინში ხუთი თავისუფალი სტილით მოჭიდავე წავა, თუ სასწაული არ მოხდა და დავით მოძმანაშვილი არ გაამართლეს...

**ლევან მაისურაძე**

## ჰოკეი

### NHL. პლეი ოფი მეორე წრე

2 მაისი

**სან ხოსე 3:2 დალასი**
0:0 0:2 2:0 1:0 (ოვერტაიმში)

*სერია დალასს მიჰყავს 3:2*

0:1 ლეჰტინენი (27, უმრ. ზუბოვი, მოდანო), 0:2 მოროუ (40, რიჩარდსი, მიეტინენი), 1:2 მიხალეკი (47, ტორნტონი, ჩიჩუ), 2:2 კემპბელი (52, რენიკი, ერჰოფი), 3:2 პაველსკი (62, უასისტენტოდ)

3 მაისი

**მონრეალი 4:6 ფილადელფია**
2:1 1:3 2:1

*სერია ფილადელფიამ მოიგო 4:1*

1:0 პლეკანეცი (5, უმრ. ბრისბუა, ა. კოსტიცინი), 1:1 ამბერგერი (11, სმიტი, ლუპული), 2:1 კოვალიოვი (12, ლაპიერი, კომისარეკი), 3:1 ჰიგინსი (29, კოივუ, ჯორჯესი), 3:2 რიჩარდსი (35, ამბერგერი), 3:3 ამბერგერი (36, პეტჩერი, რიჩარდსი), 3:4 პარტნელი (337, ტიმონენი), 4:4 ა. კოსტიცინი (43, პლეკანეცი, კოვალიოვი), 4:5 ეპშოლი (57, კარტერი, კუკონენი), 4:6 კნუბლი (60, ცარ. კარში, კარტერი)

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰალიფაქსი, კვებეკი. კანადა. 2-18 მაისი

A ჯგუფი

**შვეიცარია 4:1 საფრანგეთი**
2:0 1:1 1:0

1:0 ვიკი (9), 2:0 შპრუნგერი (17), 3:0 ბერტში (24), 3:1 დესროზიე (40), 4:1 სანიცი (41)

**შვედეთი 6:5 ბელარუსი**
2:1 2:3 2:1

1:0 იუჰანსონი (4), 2:0 ბექსტრომი (13), 2:1 კოსტიუჩენოკი (19), 2:2 ზადელენოვი (23), 2:3 უგაროვი (24), 3:3 ჰორნკვისტი (27), 3:4 ჟურიკი (36), 4:4 ნილსონი (38), 4:5 მელეშკო (42), 5:5 ჰორნკვისტი (44), 6:5 რ. ვალინი (51)

B ჯგუფი

**კანადა 5:1 სლოვენია**
1:0 3:1 1:0

1:0 ჰემიუსი (4), 2:0 ჰიტლი (21), 3:0 სენლუი (31), 3:1 კოპიტარი (33), 4:1 ჰიტლი (36), 5:1 ჰიტლი (51)

**აშშ 4:0 ლატვია**
1:0 1:0 2:0

1:0 ბრაუნი (8), 2:0 კეინი (29), 3:0 პარიზე (48), 4:0 ოსალივანი (52)

C ჯგუფი

**სლოვაკეთი 5:1 ნორვეგია**
1:0 2:1 2:0

1:0 მელიხარეკი (10), 2:0 კოლნიკი (21), 3:0 პეტროვიცკი (28), 3:1 ოლიმბი (29), 4:1 ჰოსა (41), 5:1 პოდგრადსკი (59)

**ფინეთი 5:1 გერმანია**
0:0 2:1 3:0

1:0 მ. კოივუ (22), 2:0 ო. იოკინენი (28), 2:1 ბუში (33), 3:1 მ. კოივუ (41), 4:1 ჰიუვონენი (43), 5:1 სელიანე (53)

D ჯგუფი

**რუსეთი 7:1 იტალია**
1:0 5:0 1:1

1:0 სიომინი (5), 2:0 ოვეჩკინი (24), 3:0 მოროზოვი (30), 4:0 ტერეშჩენკო (32), 5:0 სიომინი (32), 6:0 სუშინსკი (37), 6:1 ჩირონე (53), 7:1 ზარიპოვი (57)

**დანია 2:5 ჩეხეთი**
2:2 0:2 0:1

1:0 ლარსენი (1), 1:1 ვრბატა (8), 1:2 კოტალიკი (14), 2:2 ჰანსენი (19), 2:3 ვრბატა (25), 2:4 ირგლი (32), 2:5 ჰეიდა (51)

## სნუკერი

### მსოფლიოს ჩემპიონატი. შეფილდი. ინგლისი. 19 აპრილი-6 მაისი

ნახევარფინალი

რონი ოსალივანი (ინგლისი) — სტივ ჰენდრი (შოტლანდია) 17:6; ალისტერ კარტერი (ინგლისი) — ჯო პერი (ინგლისი) 17:15

## ჩოგბურთი

**ვაჟები**
ბარსელონა. ესპანეთი. თიხა
საპრიზო 824 000 ევრო

მეოთხედფინალი

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — ხუან იგნასიო ჩელა (არგენტიან) 6:4 6:2; **დავიდ ფერერი** (2, ესპანეთი) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 7:6 6:4; **დენის გრემელმაიერი** (გერმანია) — ნიკოლას ალმაგრო (10, ესპანეთი) 6:2 3:6 7:6; **სტანისლას ვავრინკა** (14, შვეიცარია) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:3 6:7 6:4

ნახევარფინალი

**ნადალი** — გრემელმაიერი 6:1 6:0; **ფერერი** — ვავრინკა 7:6 6:3

ფინალი

**ნადალი** — ფერერი 6:1 4:6 6:1

**ქალები**
პრაღა. ჩეხეთი. თიხა
საპრიზო 145 000 დოლარი

მეოთხედფინალი

**ვერა ზვონარიოვა** (1, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:1 6:2; **კლარა ზაკოპალოვა** (7, ჩეხეთი) — შაჰარ პეერი (2, ისრაელი) 7:6 6:2; **ვიქტორია აზარენკა** (3, ბელარუსი) — კაროლინა პლისკოვა (ჩეხეთი) 6:2 6:1; **კატარინა სრებოტნიკი** (4, სლოვენია) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 7:5 4:6 6:2

ნახევარფინალი

**ზვონარიოვა** — სრებოტნიკი 6:2 6:4; **აზარენკა** — ზაკოპალოვა 6:3 6:2

ფინალი

**ზვონარიოვა** — აზარენკა 7:6 6:2

**ვაჟები**
მიუნხენი. გერმანია. თიხა
საპრიზო 370 000 ევრო

მეოთხედფინალი

**პოლ-ანრი მატიე** (1, საფრანგეთი) — მარინ ჩილიჩი (8, ხორვატია) 6:2 4:6 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (2, ჩილე) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:3 7:5; **იუნეს ელ აინაუი** (მაროკო) — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) 6:4 6:4; **სიმონე ბოლელი** (იტალია) — ჰუნგ ტაიკ ლი (ს. კორეა) 6:4 7:6

ნახევარფინალი

**ბოლელი** — მატიე 7:6 4:6 7:6; **გონსალესი** — ელ აინაუი 3:6 6:4 6:3

ფინალი

**გონსალესი** — ბოლელი 7:6 6:7 6:3

**ქალები**
ფესი. მაროკო. თიხა
საპრიზო 145 000 დოლარი

მეოთხედფინალი

**ანაბელ მედინა გარიგუესი** (1, ესპანეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:1 6:1; **გიზელა დულკო** (2, არგენტინა) — სორანა კირსტეა (7, რუმინეთი) 6:0 6:3; **არავანე რეზაი** (4, საფრანგეთი) — ალისა კლეიბანოვა (6, რუსეთი) 5:7 7:5 7:5; **გრეტა არნი** (გერმანია) — პეტრა ცეტკოვსკა (ჩეხეთი) 6:2 6:2

ნახევარფინალი

**მედინა გარიგუესი** — არნი 6:3 7:6; **დულკო** — რეზაი 7:6 6:3

ფინალი

**დულკო** — მედინა გარიგუესი 7:6 7:6

# ოქრუაშვილმა ინდოეთში ფინალამდე გაინვლო

**ანა ტატიშვილისთვის** ამერიკული შარლოტსვილის თიხნარზე ITF-ის ეგიდით გამართული 50-ათასიანი ტურნირი მეოთხედფინალში დასრულდა. ჩვენებურს ამ ეტაპზე მეორე ნომრად განთესილი 20 წლის რუსი ტატიანა პუჩკოვა შეხვდა, ვინც ამჟამად 117-ეა რეიტინგში, ხოლო შარშან, სულაც 32-ე საფეხურზე იწონებდა თავს.

ბუნებრივია, ფავორიტად რუსი ითვლებოდა და მან ორ სეტში — 6:4 6:4 მოიგო კიდეც.

კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელის ამბები კი ინდოეთიდან შევიტყვეთ. იქ, ქალაქ კოჰინის თიხაზე 10-ათასიანი შეჯიბრი ჩატარდა და მაგდა ოქრუაშვილმა კვალიფიკაციიდან რომ დაიწყო, ფინალამდე მიაღწია.

საკვალიფიკაციო ეტაპზე მაგდამ ჯერ ინდონეზიელი არტჰი ვენკატარამანი გაანადგურა 6:1 6:0, შემდეგ კი ნაკლები დღე, არც ინდოელ დიპტი შრივასტავას დააყარა — 6:1 6:2.

ოქრუაშვილმა ძირითად ბადეშიც ინდოელებით დაიწყო — მე-4 ნომრად განთესილ და რეიტინგში 873-ე ადგილზე მყოფ სონალ პჰადკეს 6:3 6:1 სძლია, ტრეტა ბჰატაჩარიივას კი სამ სეტში, 6:2 3:6 6:2 მოუგო.

მეოთხედფინალში მაგდამ, უკვე ამერიკელი მეტოქე, კლასიფიკაციის 1026-ე ნომერი კელზეი სუნდარამი დაამარცხა 6:2 6:0, ნახევარფინალში ისევ მასპინძელი, რეიტინგის 1060-ე პოზიციაზე მყოფი შაინი საჰოო დაჯაბნა 6:3 6:2 და ფინალს უწია, სადაც კიდევ ერთ ინდოელს, პირველ ნომრად განთესილ რუშმი ჩკარავრტჰის შეხვდა.

სამწუხაროდ, საკმაოდ გამოცდილი მეტოქის დამარცხება ქართველმა ველარ შეძლო. 30 წლისა და რეიტინგის 514-ე საფეხურზე მყოფმა ინდოელმა 6:4 7:5 იმარჯვა და მთავარი პრიზი მოიპოვა. 17 წლის ოქრუაშვილისთვის კი ფინალში გასვლასაც, მართლაც რომ ოქროს ფასი ჰქონდა და იმედია, ახალგაზრდა ჩოგბურთელი მომავალში კიდევ მიაღწევს წარმატებებს.

## მძლეოსნობა

# უსაინი ასაფას ემუქრება

**სულ** აიწყვიტეს იამაიკელებმა. მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი ასაფა პაუელი ხომ ჰყავთ და ახლა კიდევ ერთი ფენომენი გამოუჩნდათ. უსაინ ბოლტი 200 მეტრის სპეციალისტად ითვლება და ამ დისტანციაზე მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეულიცაა, შარშან ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალიც მოიპოვა. ახლა კი ამ 21 წლის ფეხმარდ ჯეელს თვით ასაფასთან შეტოქებაც კი შეუძლია, ისეთი შედეგით შეიჭრა 100-მეტრიან ბილიკზე. ამ უქმეებზე სამშობლოში საერთაშორისო ტურნირზე ბოლტმა 100 მეტრი 9,76 წამში გაიფრინა, ამაზე სწრაფად კი ეს დისტანცია მხოლოდ ასაფას დაუმორჩილებია, რომელმაც შარშან დაამყარა მსოფლიოს ახალი რეკორდი — 9,74 წამი.

ახლა კი უსაინს დიდი თანამემამულის ძლევის სურვილიც გაუჩნდა, ამბობს, 9,76 კარგი შედეგია და თუ საკუთარ თავზე მეტს ვიმუშავებ, რეკორდის დამყარებაც არ ჩანს შეუძლებელიო. „ახლა კი მე იმითაც კმაყოფილი ვარ, რომ ასაფას ამ სტადიონის რეკორდი (9,84 წამი) ჩამოვართვი" — დასძინა ბოლტმა.

მოკლედ, ოლიმპიადის წინ პაუელს კიდევ ერთი კონკურენტი და საფიქრალი მიემატა, რაც მანამდეც არ აკლდა.

**ივანე კოზიაშვილი**

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 1 | ნიუკასლი-ჩელსი | 6.00 | 3.50 | 1.60 | 2.21 | 1.26 | 1.09 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 16 | ტორკი-ექსეტერი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | 6 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 17 | კემბრიჯი-ბარტონი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 18 | ფოლკირკი-ჰართსი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 19 | ვადუცი-ივერდონი | 1.30 | 4.30 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.79 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 20 | ბულონი-გრენობლი | 3.00 | 2.90 | 2.40 | 1.47 | 1.33 | 1.31 |
| | | ჩეხეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 21 | სიგმა-სლავია | 3.20 | 3.00 | 2.15 | 1.54 | 1.28 | 1.25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 22:00 | 22 | ტრენჩინი-ტრნავა | 4.50 | 3.50 | 1.60 | 1.96 | 1.18 | 1.09 |
| | | დანია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 4.50 | 3.50 | 1.75 | 1.96 | 1.25 | 1.16 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 23 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 24 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| 21:00 | 25 | ლიუნგსკილე-გეფლე | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 22:00 | 26 | აიკ-ჰალმსტადი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18:30 | 469 | ჰაკა-კუოპიო | 1.50 | 3.60 | 5.75 | 1.05 | 1.18 | 2.21 |
| | | შერეული | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 27 | კაპოშვარი-ჰონვედი(უნგ) | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ნიუკასლი-ჩელსი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10018 | ფოლკირკი-ჰართსი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10020 | ბულონი-გრენობლი | 3.40 | 2.00 | 2.60 | 1.25 | 1.47 | 1.13 |
| 10023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10024 | გაის-ნორჩიოპინგი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10026 | აიკ-ჰალმსტადი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 4.90 | 2.10 | 2.10 | 1.47 | 1.47 | 1.04 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ნიუკასლი-ჩელსი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |
| 11018 | ფოლკირკი-ჰართსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11020 | ბულონი-გრენობლი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11024 | გაის-ნორჩიოპინგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11026 | აიკ-ჰალმსტადი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 12018 | ფოლკირკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12020 | ბულონი-გრენობლი | 1.50 | 2.10 |
| 12023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.90 | 1.70 |
| 12024 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 12025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 1.60 | 2.00 |
| 12026 | აიკ-ჰალმსტადი | 1.70 | 1.90 |
| 12413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13001 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 13018 | ფოლკირკი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13020 | ბულონი-გრენობლი | 1.90 | 1.70 |
| 13023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.60 | 2.00 |
| 13024 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13026 | აიკ-ჰალმსტადი | 1.70 | 1.90. |
| 13413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ნიუკასლი-ჩელსი | 2.50 | 1.30 |
| 14018 | ფოლკირკი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 14020 | ბულონი-გრენობლი | 1.95 | 1.85 |
| 14023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 14024 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.65 | 2.30 |
| 14025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 14026 | აიკ-ჰალმსტადი | 1.65 | 2.30 |
| 14413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 2.40 | 1.45 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ნიუკასლი-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | ფოლკირკი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ბულონი-გრენობლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | გაის-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | აიკ-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ნიუკასლი-ჩელსი | 4.10 | 1.17 |
| 16018 | ფოლკირკი-ჰართსი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | ბულონი-გრენობლი | 2.10 | 1.60 |
| 16023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.70 | 1.95 |
| 16024 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.30 | 3.00 |
| 16025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 1.75 | 1.85 |
| 16026 | აიკ-ჰალმსტადი | 1.30 | 3.00 |
| 16413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 3.00 | 1.30 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ნიუკასლი-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | ფოლკირკი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | ბულონი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ლილესტრიომი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17024 | გაის-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ლიუნგსკილე-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17026 | აიკ-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17413 | ჰორსენსი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |


გაიხსნა კროკოს ახალი ფილიალი
მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 კვ. II კორპ.

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისენტე კალდერონზე მაიმუნები მომრავლდნენ



**შაბათს** მადრიდის „ატლეტიკომ“ შინ 3:0 მოუგო „უელვას“, მისმა ფანებმა კი სტუმართა შავკანიან თავდამსხმელ ფლორან სინამა-პონგოლს რასისტული შეურაცხყოფა მიაყენეს. ფრანგი ფეხბურთელი ამან ძალიან გაანაწყენა.

„ამას უბრალოდ ვერ გაიგებ. ძალიან მწყდება გული, რომ კიდევ არის ხალხი, რომელიც სტადიონზე იმისთვის მიდის, რათა სხვა რასის წარმომადგენლებს შეურაცხყოფა მიაყენოს. „ატლეტიკომ“ დამსახურებულად მოიგო, მაგრამ „ვისენტე კალდერონზე“ მისული ფანების გარკვეული ნაწილისგან რასისტული გამოხტომები ძალიან გამაღიზიანებელი და ცუდი საქციელი იყო“ — თქვა სინამა-პონგოლმა.

მატჩის არბიტრმა მიგელ ანხელ პერეს ლასამ თავის ოქმში ჩაწერა, რომ როცა ფეხბურთელი ტრიბუნებს მიუახლოვდებოდა, ქომაგები მაიმუნის ჟესტიკულაციასა და მიმიკას მიმართავდნენ. როცა შეხვედრის დელეგატი მათ დაემუქრა, ამგვარი გამოხტომები შეწყდა.

ფეხბურთში რასიზმის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური სწორედ ესპანეთშია. „ატლეტიკო“ სასჯელს ალბათ ვერც ამ შემთხვევაში გადაურჩება.. „ვისენტე კალდერონზე“ ფანების მსგავსი საქციელის გამო მადრიდელები მიმდინარე სეზონში არაერთხელ დაჯარიმებულან.

**კოკი კანდელაკი**



# ლუიშ ფელიპე სკოლარიმ რონალდო გალანძღა

**პორტუგალიის** ნაკრების ბრაზილიელი მთავარი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი რონალდოს სექსუალურ სკანდალს გამოეხმაურა და „კიჭა“ გვარიანად გააკრიტიკა. შეგახსენებთ, რომ „ფელიპაუმ“ 2002 წელს ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა, რონალდო კი იმ მუნდიალის ბომბარდირი იყო.

„ეს აბსურდული და სამარცხვინო ამბავია. ზოგჯერ ხალხს საკუთარ თავზე სიმართლის მოსმენა არ სიამოვნებს.

საფეხბურთო სამყაროში ვიცნობ ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ამგვარი რამ ჩაიდინეს, მაგრამ ისე მაინც გააკეთეს, რომ არ გახმაურდა და ვერასდროს ველარავინ გაიგებს“ — განაცხადა სკოლარიმ.

ამ საკითხზე პირველი კომენტარი გააკეთა „მილანის“ მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმაც: „მის გამო ვლელავ და სამწუხაროა, რომ ასეთი რამ მოხდა. რასაკვირველია, ეს არ არის საუკეთესო საქციელი, მაგრამ სხვისი პირადი ცხოვრების გარჩევას არ ვაპირებ“.

ამასობაში ბრაზილიურმა სატელეფონო კომპანია TIM-მა უარყო ცნობები რონალდოსთან კონტრაქტის გაწყვეტის შესახებ — პარტნიორებად ვრჩებითო.

**გიორგი ქაქაბაძე**

# უკვე მილანელია?

**იტალიური** პრესის ცნობით, მატიე ფლამინის „არსენალთან“ შეთანხმების ყველა ვარიანტი ჩაიშალა და უკვე შეგვიძლია, ფრანგი „მილანის“ ფეხბურთელად ჩავთვალოთ. ამბობენ, გადაწყვეტილია, რომ ფლამინი ზაფხულში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავა „როსონერიში“, კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს და სეზონში დაახლოებით 6,5 მილიონ ევროს მიიღებსო.

ოფიციალურად ამ ინფორმაციას ჯერ არცერთი მხარე არ ადასტურებს. ფლამინი „მეთოფეებს“ ხელფასზე ვერ შეუთანხმდა და კონტრაქტიც ამიტომ არ გახანგრძლივდა. მსგავსი პრობლემა „არსენალთან“ ალექსანდრ გლებსაც აქვს, რომელსაც ყველაზე ხშირად „მილანის“ თანაქალაქელ „ინტერს“ უკავშირებენ.

„ვფიქრობ, კვირის ბოლომდე ყველაფერი გადაწყდება. დარჩება თუ წავა, ფლამინიზეა დამოკიდებული. ჩვენს სახელფასო სისტემას ვერ შევცვლით. ვიცით, რა ბიუჯეტით გვაქვს და მასში უნდა ჩავეტიოთ, თორემ საქმე ცუდად წაგვივა“ — აღნიშნა ლონდონელთა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

**გიორგი ქაქაბაძე**


მატიე ფლამინი

## რუსეთი

### პრემიერლიგა. VIII ტური

**კრილია 2:0 ამკარი**
1:0 ივანოვი (16), 2:0 ბობერი (74)

**რუბინი 0:3 სპარტაკი**
0:1 ველიტონი (20), 0:2 ბაჟენოვი (65), 0:3 პავლენკო (69)

**შინიკი 2:0 დინამო**
1:0 ლაზაროვი (75პ), 2:0 ბოიარინცევი (81)

**ნალჩიკი 0:3 მოსკვა**
0:1, 0:2 ადამოვი (21პ, 24), 0:3 გოდუნოკი (61)

**სატურნი 2:2 ხიმკი**
1:0 ტოპიჩი (2), 1:1 სტეპანოვი (11), 2:1 ტოპიჩი (34), 2:2 ნიზამუტდინოვი (83)

**ტერეკი 1:3 ტომი**
0:1, 0:2 სტრელკოვი (12, 64), 0:3 არხიპოვი (68), 1:3 ზემჩენკოვი (75)

**ლოკომოტივი 2:2 ლუჩ-ენერგია**
1:0, 2:0 ბილიალეტდინოვი (20, 55პ), 2:1 ბაზაევი (79), 2:2 ტიხონოვეცკი (81პ)

**ცსკა — ზენიტი**
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუბინი | 8 | 7 | 0 | 1 | 14:5 | 21 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 15 |
| დინამო | 8 | 4 | 2 | 2 | 11:9 | 14 |
| სპარტაკი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:10 | 13 |
| კრილია | 8 | 4 | 1 | 3 | 11:7 | 13 |
| ამკარი | 8 | 4 | 1 | 3 | 10:6 | 13 |
| ცსკა | 7 | 3 | 2 | 2 | 7:4 | 11 |
| ტომი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:10 | 10 |
| სატურნი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 9 |
| ტერეკი | 7 | 3 | 0 | 4 | 7:13 | 9 |
| შინიკი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:12 | 8 |
| ზენიტი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| მოსკვა | 8 | 1 | 4 | 3 | 9:11 | 7 |
| ნალჩიკი | 8 | 2 | 1 | 5 | 5:11 | 7 |
| ლუჩ-ენერგია | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | 6 |
| ხიმკი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:19 | 6 |

## დანია

### სუპერლიგა XXVIII ტური

ორჰუსი — ოდენსე 0:2; ლიუნგბიუ — მიდტიულანდი 1:2; ბრონდბიუ — ნორდსიელანდი 3:0; ესბიერგი — რანდერსი 3:2; ვიბორგი — ოლბორგი 0:1. ჰორსენსი — კოპენჰაგენი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 28 | 18 | 5 | 5 | 51:33 | 59 |
| მიდტიულანდი | 28 | 14 | 8 | 6 | 40:29 | 50 |
| ოდენსე | 28 | 12 | 13 | 3 | 41:18 | 49 |
| კოპენჰაგენი | 27 | 13 | 9 | 5 | 36:22 | 48 |
| ჰორსენსი | 27 | 11 | 8 | 8 | 36:33 | 41 |
| ნორდსიელანდი | 28 | 11 | 8 | 9 | 44:43 | 41 |
| ესბიერგი | 28 | 11 | 5 | 12 | 52:46 | 38 |
| ბრონდბიუ | 28 | 10 | 8 | 10 | 39:37 | 38 |
| რანდერსი | 28 | 10 | 7 | 11 | 35:29 | 37 |
| ორჰუსი | 28 | 6 | 7 | 15 | 27:42 | 25 |
| ვიბორგი | 28 | 4 | 4 | 20 | 24:59 | 16 |
| ლიუნგბიუ | 28 | 2 | 8 | 18 | 26:60 | 14 |

### პირველი დივიზიონი XXII ტური

ვაილე — სილკებორგი 1:0; ფრემი — ფც ორჰუსი 1:0; სკივე — ჰვიდოვრე 1:0; ფრედერისია — კოლდინგი 2:4; კიოგე — ჰერფიოლგე 2:3; ნესტვედი — იოლსტრუპ 2:0; ნიკიობინგი — აკადემისკი 0:4; სიონდერისკე — ჰელერუპი 2:1

## სლოვენია

### პირველი ლიგა XXXI ტური

კოპერი — პრიმორიე 2:1; დომჟალე — ნაფტა 2:0; დრავა პტუი — პუბლიკუმი 1:2; ივანჩნა გორიცა — მარიბორი 0:3; ნოვა გორიცა — ინტერბლოკი 2:2

## ავსტრია

### პირველი დივიზიონი XXX ტური

შვადორფი — ბად აუზეე 2:0; ავსტრია (ლ) — ავსტრია (მ) 1:2; კაპფენბერგი — ზალცბურგი (მ) 4:0; კერნტენი — ლეობენი 4:0; შვანენშტადტი — ლუშტენაუ 1:2; გრატკორნი — პარნდორფი 5:0

## ბულგარეთი

### ვიშა ლიგა XXVII ტური

ბლაგოევგრადი — სლავია 1:0; ცსკა — ჩერნომორეცი 3:0; ლევსკი — ლოკომოტივი (სოფია) 0:1; ლიტექსი — მარეკი 4:0; ბელასიცა — ჩერნო მორე 1:1; სპარტაკი — ლოკომოტივი (პლოვდივი) 2:1; ვიდიმა-რაკოვსკი — ბეროე 3:1; ვიჰრენი — ბოტევი 2:0

## უკრაინა

### ვიშა ლიგა XXVIII ტური

მეტალისტი — ხარკოვი 2:0; ზაკარპატია — დინამო 1:4; ვორსკლა — მ. დონეცკი 2:0; ჩერნომორეცი — მ. ზაპოროჟიე 1:1; შახტარი — კრივბასი 1:0; არსენალი — კარპატი 2:0; ტავრია — დნიპრო 0:1; ზარია — ნაფტოვიკი 1:0

## სლოვაკეთი

### პირველი ლიგა XXVIII ტური

სლოვანი — რუჟომბეროკი 0:0; დუბნიცა — სენეცი 0:0; მორავცე — ბანსკა ბისტრიცა 0:4; ჟილინა — ნიტრა 1:1; არტმედია — კოშიცე 1:0. ტრენჩინი — ტრნავა დღეს გაიმართება

## თურქეთი

### სუპერლიგა XXXIII ტური

რიზე — ანკარა 0:1; ოფთა — დენიზლი 0:2; ბუიუქშეჰირი — ტრაბზონი 1:2; ანკარაგიუჯიუ — ბეშიქთაში 0:2; ბურსა — ქაისერი 0:1; ფენერბაჰჩე — გენჩლერი 3:2; ქონია — გაზიანთეფი 1:1; მანისა — კაშიმპასა 1:2; სივა — გალათასარაი 3:5

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 33 | 23 | 7 | 3 | 62:23 | 76 |
| ფენერბაჰჩე | 33 | 22 | 7 | 4 | 72:35 | 73 |
| სივა | 33 | 22 | 4 | 7 | 54:29 | 70 |
| ბეშიქთაში | 33 | 22 | 4 | 7 | 53:31 | 70 |
| ქაისერი | 33 | 15 | 10 | 8 | 50:29 | 55 |
| ტრაბზონი | 33 | 13 | 7 | 13 | 42:38 | 46 |
| დენიზლი | 33 | 12 | 6 | 15 | 43:47 | 42 |
| ანკარა | 33 | 10 | 10 | 13 | 34:37 | 40 |
| ოფთა | 33 | 10 | 10 | 13 | 30:34 | 40 |
| გაზიანთეფი | 33 | 10 | 10 | 13 | 35:45 | 40 |
| ანკარაგიუჯიუ | 33 | 10 | 10 | 13 | 34:44 | 40 |
| ბუიუქშეჰირი | 33 | 10 | 8 | 15 | 44:46 | 38 |
| ბურსა | 33 | 9 | 10 | 14 | 30:39 | 37 |
| ქონია | 33 | 10 | 6 | 17 | 36:62 | 36 |
| გენჩლერი | 33 | 9 | 8 | 16 | 44:49 | 35 |
| მანისა | 33 | 7 | 8 | 18 | 41:57 | 29 |
| რიზე | 33 | 7 | 8 | 18 | 31:59 | 29 |
| კაშიმპასა | 33 | 7 | 5 | 21 | 24:55 | 26 |

## საბერძნეთი

### სუპერლიგა პლეი ოფი. III ტური

**აეკ 1:0 არისი**

**პანიონიოსი 1:2 პანათინაიკოსი**

## ჰოლანდია

### საჩემპიონთალიგო პლეი ოფი. 1/2 ფინალი საპასუხო მატჩები

**ბრედა 1:5 ტვენტე (0:3)**
0:1 ჰიუსეგემსი (52), 1:1 ფეპერი (34), 1:2 ნკუფო (56), 1:3 ჰერსი (66), 1:4 ჰიუსეგემსი (77), 1:5 ბრაამჰიდი (90)

**აიაქსი — ჰერენვენი (2:1)**
დღეს გაიმართება

### საუეფასთასო პლეი ოფი ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

**გრონინგენი 3:1 უტრეხტი (2:2)**

**ნაიმეგენი 2:0 როდა (1:0)**

### გადასასვლელი პლე ოფი მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები

**გრააფსხაპი 3:1 ჰელმონდ (3:2)**

**დენ ბოსხი 1:2 ზვოლე (1:0)**

**ვალვაიკი 2:0 მაასტრიხტი (0:1)**

**ვენლო 1:0 დენ ჰააგი (0:1)**

## ხორვატია

### I დივიზიონი. XXXII ტური

მედიმურიე — ინტერი 4:0; ოსიეკი — ვარტექსი 2:0; რიეკა — ციბალია 2:0; ზადარი — შიბენკი 0:2; სლავენი — ზაგრები 1:0; ჰაიდუკი — დინამო 1:1

## იაპონია

### ჯეი ლიგა X ტური

კიოტო — საპორო 1:0; ოიტა — ნიიგატა 3:1; ნაგოია — გამბა 1:2; ომია — ტოკიო 0:3; ვერდი — იოკოჰამა 3:2; იჩიჰარა — კაშივა 0:1; შიმიძუ — ივატა 1:1; კავაზაკი — კაშიმა 3:2; კობე — ურავა 1:1

# გერმანია
## ბუნდესლიგა
## XXXXI ტური

### შალკე 1:1 ჰანოვერი
0:1 ბრუგინკი (8), 1:1 ალტინტოპი (40)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ფ. ერნსტი, ჯონსი, ა. შტრაიტი (ასამოა 74), ჰალილ ალტინტოპი, რაკიტიჩი (ლოვენკრანდსი 81), კურანი
მწვრთნელი: მიხაელ ბიუსკენსი
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, ისმაელი, ვინისიუსი, კ. შულცი, ლალა, ბალიტჩი, ჰუშტი (ლაუტი 90), ბრუგინკი, შტაინერი (როზენტალი 84), ჰანკე (ჰაშემიანი 78)
მწვრთნელი: დიტერ ჰეკინგი
გაფრთხილება: კრსტაიჩი, ბრუგინკი, ჩერუნდოლო, ბალიტჩი, როზენტალი
მსაჯი: ვაგნერი
61 482 მაყურებელი

### ჰერტა 3:1 კარლსრუე
1:0 კაჩარი (25), 2:0 პანტელიჩი (31), 2:1 კაპლანი (53), 3:1 სკაჩელი (87)
ჰერტა: დრობნი, ჩაჰედი, ა. ფრიდრიხი, შიმუნიჩი, ფონ ბერგენი, კაჩარი, მინეირო, ებერტი (სკაჩელი 57), რაფაელი (ლუშტენბერგერი 88), პიშჩეკი, პანტელიჩი (დარდაი 81)
მწვრთნელი: ლუსიენ ფავრი
კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი (დიკი 46), ეგიმანი, ფრანცი, აიხნერი, ადუბე (მუტცელი 12), ს. ბუკი (პორკელიო 81), ფრაისი, ჰაინალი, იაშვილი, კაპლანი
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
გაფრთხილება: კაჩარი, ბუკი, შიმუნიჩი, აიხნერი
მსაჯი: ვაინერი
49 595 მაყურებელი

### ვოლფსბურგი 0:0 ბაიერნი
ვოლფსბურგი: ბენალიო, ბაიერი, რიკარდუ კოშტა, შიმუნეკი, მ. შეფერი, ჰასებე, რიტერი, გენტნერი (კრჟინოვეკი 61), მარსელინიო (ლიუბოია 75), ძეკო (დეჯაგა 61), გრაფიტე
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბაიერნი: რენსინგი, სანიოლი, ვან ბუიტენი (ბრენო 73), დემიკელისი, იანსენი (ლელი 46), ვან ბომელი, ოტლი, სოსა, შვაინშტაიგერი (კროოსი 63), ტონი, პოდოლსკი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: შიმუნეკი, ლელი, ვან ბომელი
მსაჯი: ფანდელი
30 000 მაყურებელი

### ვერდერი 2:0 კოტბუსი
1:0 როზენბერგი (67), 2:0 უგო ალმეიდა (79)
ვერდერი: ვიზე, კ. ფრიცი (ოვომოიელა 78), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ფრინგსი, დ. იენსენი, ბოროვსკი, იოზილი, კლასნიჩი (როზენბერგი 56), სანოგო (უგო ალმეიდა 56)
მწვრთნელი: თომას შააფი
კოტბუსი: ტრემელი, და სილვა, რადულიჩი, ცვიტანოვიჩი, ზიბიგი, ს. ანგელოვი, ტ. რონტკო, რივიჩი (რანგელოვი 68), შვლი (პაპადოპულოსი 87), დ. სორენსენი, ბ. იელიჩი (ვასილევიჩი 35)
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
გაფრთხილება: ფრინგსი, ზიბიგი, ანგელოვი, და სილვა
მსაჯი: ფლაიშერი
38 000 მაყურებელი

### ჰანზა 1:3 ჰამბურგი
0:1 ოლიჩი (8), 0:2 ვან დერ ვაარტი (27), 0:3 ოლიჩი (51), 1:3 მატიისენი (76პ.)
ჰანზა: ჰანელი, სებასტიანი, ორესტესი, გლედსონი (ლუკიმია 46), მ. შტაინი, რატეჯი, ბიულიკი (შაპურზადე 46), ბარტელსი, კერნი, ცეტკოვიჩი (იელენი 66), პეჯი
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
ჰამბურგი: რ. როსტი, ბენჯამინი (ბოელცი 71), ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ჟ. ბოატენგი (ატუბა 63), დე იონგი, ოლიჩი (ტროხოვსკი 75), დემელი, ვან დერ ვაარტი, ოლიჩი, გუერერო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: ბარტელსი, შაპურზადე
მსაჯი: შტარკი
28 000 მაყურებელი

### დუისბურგი 3:2 ლევერკუზენი
1:0 იშიაკუ (14), 1:1 სინკევიჩი (18), 2:1 იშიაკუ (36), 2:2 ბარნეტა (74), 3:2 გეორგიევი (90)
დუისბურგი: შტარკე, ლამეი, ავალოსი, შლიკე, ვილი, ბარბიჩი, მაკენი, ვილიხი (ტიფერტი 76), გეორგიევი, იშიაკუ, ნიკულესკუ
მწვრთნელი: რუდი ბომერი
ლევერკუზენი: რ. ადლერი, კასტრო, სინკევიჩი, მ. ფრიდრიხი, ჰაჯი, ჰაიდელი (ფრაიერი 69), როლფესი, ბარბარესი, კისლინგი, დუმი (ბარნეტა 46), ბულიკინი (გეკასი 69)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: ტარარაშე, დუმი, ვიონი, გიდალი, ავალოსი
მსაჯი: მეიერი
25 275 მაყურებელი

### შტუტგარტი 4:1 აინტრახტი
1:0 ბაშტურქი (3), 2:0 გომესი (6), 3:0 ბაშტურქი (18), 4:0 კაკაუ (47), 4:1 ამანატიდისი (63)
შტუტგარტი: რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, ბოკა (ბეკი 81), ჰილდი, ჰილბერტი, და სილვა, ბაშტურქი, გომესი (ბარდა 63), კაკაუ (მანინი 77)
მწვრთნელი: არმინ ფეჰ
აინტრახტი: პროელი, შ. ოხსი, გალინდო, კირაკოსი, შპაიხერი, რუსი (ინამოტო 46), მ. ფინკი, კოლერი, ტოსკი, ამანატიდისი, ფენინი (მაჰდავიკია 46)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: შპაიხერი
მსაჯი: მერკი
55 800 მაყურებელი

### დორტმუნდი 0:0 ნიურნბერგი
დორტმუნდი: ზიოლეკი, რუკავინა, ჰუმელსი, რ. კოვაჩი, დედე, კრუშკა (ბლასი 63), ბლაშჩიკოვსკი, ტინგა, კრინგსი, ფრეი, პეტრიჩი (კლიმოვიჩი 63)
მწვრთნელი: თომას დოლი
ნიურნბერგი: კლეინერი, იაკობსენი, ა. ვოლფი, აბარდონადო, პინოლა, გალაშეკი, ენგელჰარდტი (მნარი 84), საენკო (მისიმოვიჩი 63), მინტალი, ვიტეკი, კოლერი
მწვრთნელი: თომას ფონ ჰესენი
გაფრთხილება: მინტალი, გალაშეკი, ვოლფი
მსაჯი: დრეესი
70 500 მაყურებელი

### არმინია 2:0 ბოხუმი
1:0 მიატოვიჩი (70), 2:0 კამპერი (90)
არმინია: რ. ფერნანდესი, კუჩერა, მიატოვიჩი, ბოლმანი, რაუ, კაუფი, კირხი, შ. მარქსი (ბეეკ 46), ჰალფარი (კამპერი 61), ციმერმანი, ზუმა (ირმგლერი 85)
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
ბოხუმი: რენო, პფერტცელი, მალტრიცი, იაალი, მ. ბიონიკი (გროტე 78), ცედრონი (მავრაი 81), ამარიი (ონო 71), დაბროვსკი, ეპალე, შესტაკი, აუერი
მწვრთნელი: მარცელ კოლერი
გაფრთხილება: დაბროვსკი, ბიონიკი
მსაჯი: რაფატი
23 800 მაყურებელი

# დაიწყო და დაამთავრა
## ბაიერნმა ეს მესამედ გააკეთა


ლუკა ტონიმ ჰიცფელდი საჩემპიონო ლუდში აბანავა

**115 მილიონი** დოლარი დაუჯდა მიუნხენის „ბაიერნს" 21-ე ჩემპიონობა, რომელიც გუშინ ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგთან" აღებული ქულით მოიპოვა.

შარშან ზაფხულს „ბაიერნის" შეფებმა რიბერის, ტონის, კლოზეს და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის საყიდლად ჯიბეზე ხელი გაიკრეს და სამი ჯილდო მიიღეს — გერმანიის ლიგის თასი, გერმანიის თასი და ბუნდესლიგა.

მეოთხესთან, უეფას თასთანაც ახლოს იყვნენ, მაგრამ ჩამოთვლილმა სამმა იმდენი ჯანი წაიღო, რომ გუნდმა „ზენიტთან" ნახევარფინალში ვერ გაქაჩა და საპასუხო მატჩში 0:4 წააგო.

აღსანიშნავია ერთიც — „ვოლფსბურგს" ფელიქს მაგათი წვრთნის, რომელიც „ბაიერნიდან" შარშან იანვარში დაითხოვეს და მის ნაცვლად ოტმარ ჰიცფელდი დანიშნეს. ასე რომ, ახალმა ძველთან ფრით გაინაღდა ჩემპიონობა.

და კიდევ: „ბაიერნი" პირველივე ტურიდან ლიდერობდა და ასე გაატარა მთელი სეზონი. მსგავსი რამ მიუნხენელებმა 1973 და 1985 წლებში შეძლეს, პირველად კი, 1964-ში ეს „კიოლნმა" მოახერხა.

ზედიზედ ოთხი უფრო ტურის შემდეგ „შალკემ" „ჰანოვერს" დაუზავდა და ორი ქულით ჩამორჩა „ვერდერს", რომელმაც „კოტბუსი" დაამარცხა.

ეს ფრე „ხუმარებს", შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. ისინი მეორე ადგილისთვის და ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრისთვის „ვერდერს" ეჯიბრებიან.

ჰანოვერელმა ჰანკემ მალევე გახსნა ანგარიში — საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ფეხით შებრძანა კარში, მაგრამ ტაიმის მიწურულს მეკარესთან პირისპირ გასულმა ჰალილ ალტინთოფმა გაათანაბრა.

ბრემენში მასპინძლებს „კოტბუსი" გაკრიაბად გაუსწორდნენ, რადგან ბუნდესლიგაში დასარჩენად ქულები თვითონაც სჭირდება. თითქმის შაამდა დახლოებით ერთი საათი აცალა სახლის და კლასნიჩს, თუმცა გოლი რომ ვერ გაიტანეს, როზენბერგით და ალმეიდათი შეცვალა.

შეცვლაზე შესულებმა უმალ მიაგნეს სტუმართა კარის გასაღებს.

ჯერ როზენბერგმა შეგდო თავი მეტრიდან, მერე კი ბოროვსკიმ ცარიელი ბადის წინ დატოვა ალმეიდა და პორტუგალიელმა სხვაობა გაზარდა. ეს იყო „მუსკოსთა" მეთხე გამარჯვება ბოლო ხუთ მატჩში.

„აინტრახტის" მცველებს მოედანზე გასვლა დააგვიანდათ თუ რა იყო, „შტუტგარტმა" სტუმართა საჯარიმოში თავიდანვე გაისეირნა. ამ სეირნობაში გომესს ერთი, ბაშტურქს კი ორი გოლი შეადდო.

მეორე ნახევრის დასაწყისში კაკაუმ გაიოტა და მასპინძლებმა მეტლა მისცეს მეტოქეს გატანის უფლება.

„ჰამბურგს" მიჯრით ოთხ შეხვედრაში არ გაეტანა და ექვს ტურში არ მოეგო, მაგრამ „ჰანზასთან" გუნდს ორი პირი მოხსნა. ჰამბურგელები გოლს ისე იყვნენ მოწყურებულნი, რომ სამი მასპინძლებს გაუტანეს და ერთიც საკუთარ კარში მიაგლეს.

პაულო გერეროს ორი საგოლე პასი მიითვალა და ჯერ ოლიჩი აბერა, მერე კი ვან დერ ვაარტი. მეორე ტაიმის დასაწყისში ივიცა ოლიჩმა სხვაობა სამამდე გაზარდა, მაგრამ მატიასენმა როსტოკელების მეორედ აზრუნა და ბურთი საკუთარ კარში ჩაჯრა.

„ჰანზამ" მეთერთმეტე მატჩი წააგო, ცხრილის ფსკერზე დაემკვიდრა და ჩაქვეითებისგან სასწაული თუ გადაარჩენს.

„ჰამბურგიდან" გამარჯვებას დანატრებული, იყო ბერლინის „ჰერტაც", რომელსაც 29 თებერვლის აქეთ არ მოეგო და „კარლსრუეს" ძლევით დიდად გაიხარა.

სტუმართა მეკარის შეცდომით კაჩარმა ისარგებლა და ბერლინელები დაწინაურა. მერე პანტელიჩმა მცველს პასი ჩაუჭრა, ებერტთან კედელი გაითამაშა და მეორე გაიტანა.

კაპლანმა შესვენების შემდეგ ერთი გაქვითა, მაგრამ თამაშის მიწურულს შკაჩელმა ძელიდან უკუგდებული ბურთი კარში შეაბრუნა და „ჰერტა" დაამშვიდა.

ბილეფელდის „არმინიამ" მეორე ტაიმში გატეხა „ბოხუმი" მიატოვიჩის და კამპერის გოლებით და სამი ქულით უსწრებს „დუისბურგს", რომელმაც დამატებულ შეხვედრაში „ლევერკუზენს" ბოლო წუთზე გატანილით მოუგო.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 31 | 19 | 10 | 2 | 59:18 | 67 |
| ვერდერი | 31 | 17 | 6 | 8 | 67:44 | 57 |
| შალკე | 31 | 15 | 10 | 6 | 49:32 | 55 |
| ჰამბურგი | 31 | 13 | 12 | 6 | 40:23 | 51 |
| შტუტგარტი | 31 | 16 | 3 | 12 | 53:48 | 51 |
| ლევერკუზენი | 31 | 14 | 6 | 11 | 54:36 | 48 |
| ვოლფსბურგი | 31 | 12 | 9 | 10 | 47:42 | 45 |
| ჰანოვერი | 31 | 11 | 10 | 10 | 46:50 | 43 |
| აინტრახტი | 31 | 11 | 10 | 10 | 37:44 | 43 |
| კარლსრუე | 31 | 11 | 9 | 11 | 36:42 | 42 |
| ბოხუმი | 31 | 9 | 11 | 11 | 44:48 | 38 |
| ჰერტა | 31 | 10 | 8 | 13 | 35:39 | 38 |
| დორტმუნდი | 31 | 9 | 9 | 13 | 43:54 | 36 |
| კოტბუსი | 31 | 8 | 8 | 15 | 32:51 | 32 |
| არმინია | 31 | 8 | 8 | 15 | 31:54 | 32 |
| დუისბურგი | 31 | 8 | 5 | 18 | 32:46 | 29 |
| ნიურნბერგი | 31 | 6 | 10 | 15 | 33:48 | 28 |
| ჰანზა | 31 | 7 | 6 | 18 | 27:46 | 27 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტონი (ბაიერნი) | 21 |
| გომესი (შტუტგარტი) | 16 |
| კურანი (შალკე) | 15 |
| დიეგო (ვერდერი) | 13 |
| პეტრიჩი (დორტმუნდი) | 13 |
| შესტაკი (ბოხუმი) | 12 |
| როზენბერგი (ვერდერი) | 12 |
| ოლიჩი (ჰამბურგი) | 12 |
| პანტელიჩი (ჰერტა) | 12 |

### XXXII ტური
7 მაისი

| | | |
|---|---|---|
| დორტმუნდი | : | შტუტგარტი |
| ბოხუმი | : | შალკე |
| ჰამბურგი | : | ვერდერი |
| ლევერკუზენი | : | ჰერტა |
| ბაიერნი | : | არმინია |
| კარლსრუე | : | კოტბუსი |
| აინტრახტი | : | ვოლფსბურგი |
| ჰანოვერი | : | ჰანზა |
| ნიურნბერგი | : | დუისბურგი |

### II ბუნდესლიგა. XXXI ტური
კარლ ცაისი — ოსნაბრიუკი 1:1; ფიურტი — პადერბორნი 1:1; მაინცი — ლაუტერნი 2:1; მიუნხენი — ფრაიბურგი 0:3; ზანკტ პაული — აუე 4:2; კიოლნი — ჰოფენჰაიმი 3:1; ალემანია — აუგსბურგი 3:0; ოფენბახი — გლადბახი 1:7; კობლენცი — ვეენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 31 | 16 | 12 | 3 | 63:33 | 60 |
| მაინცი | 31 | 15 | 10 | 6 | 57:32 | 55 |
| კიოლნი | 31 | 15 | 9 | 7 | 57:40 | 54 |
| ჰოფენჰაიმი | 31 | 15 | 8 | 8 | 51:38 | 53 |
| ფრაიბურგი | 31 | 14 | 10 | 7 | 46:39 | 52 |
| ფიურტი | 31 | 13 | 9 | 9 | 50:40 | 48 |
| ალემანია | 31 | 12 | 9 | 10 | 45:41 | 45 |
| კობლენცი | 31 | 11 | 10 | 10 | 40:41 | 43 |
| ზანკტ პაული | 31 | 11 | 9 | 11 | 46:44 | 42 |
| ვეენი | 31 | 10 | 11 | 10 | 44:49 | 40 |
| მიუნხენი | 31 | 9 | 12 | 10 | 39:40 | 39 |
| აუგსბურგი | 31 | 10 | 7 | 14 | 35:44 | 37 |
| ოსნაბრიუკი | 31 | 9 | 8 | 14 | 39:53 | 35 |
| ოფენბახი | 31 | 8 | 10 | 13 | 36:56 | 34 |
| ლაუტერნი | 31 | 7 | 11 | 13 | 30:35 | 32 |
| აუე | 31 | 6 | 9 | 16 | 41:54 | 27 |
| კარლ ცაისი | 31 | 6 | 9 | 16 | 42:60 | 27 |
| პადერბორნი | 31 | 5 | 12 | 14 | 27:49 | 27 |

### სამხრეთ რეგიონალლიგა XXXII ტური
დიუსელდორფი — დორტმუნდი (მ) 4:0; კოტბუსი (მ) — ესენი 1:2; დინამო — ერფურტი 2:2; მაგდებურგი — ბრაუნშვაიგი 1:1; ობერჰაუზენი — ემდენი 3:2; ფერლი — ბაბელსბერგი 1:3; ლიუბეკი — ვოლფსბურგი (მ) 0:1; ჰამბურგი (მ) — უნიონი 0:2; ვერდერი (მ) — ვუპერტალი 2:1

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIX ტური
აალენი — ელვერსბერგი 2:4; კარლსრუე (მ) — ზიგენი 1:2; შტუტგარტი (მ) — ფრანკფურტი 1:1; ოფენბურგი — რეგენსბურგი 1:2; ჰესენი — ბაიერნი (მ) 2:3; მიუნხენი (მ) — უნტერჰახინგი 2:2; ჰოფენჰაიმი (მ) — ინგოლშტადტი 1:0; როიტლინგენი — კაიზერსლაუტერნი 3:4; ზანდჰაუზენი — პფულენდორფი 2:0

# მორატის ეკონომია

## იტალია
### სერია A
### XXXVI ტური

**მილანი 2:1 ინტერი**

1:0 ინძაგი (51), 2:0 კაკა (56), 2:1 კრუზი (75)
მილანი: კალაჩი, ბონერა, ნესტა, კალაძე, ფავალი (იანკულოვსკი 41), გატუზო (ბროკი 66), პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ფ. ინძაგი (პატო 76)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, რივასი (მაქსველი 80), მატერაცი, კივუ, ვიეირა, კამბიასო, ხ. ძანეტი, მანიშე (ბალოტელი 65), კრესპო (სუაზო 72), კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: რივასი, პირლო, ამბროზინი, ბონერა, კივუ, იანკულოვსკი, მატერაცი
მსაჯი: როზეტი
82 680 მაყურებელი

**სამპდორია 0:3 რომა**

0:1 პანუჩი (75), 0:2 პიზარო (79), 0:3 სისინიო (85)
სამპდორია: მირანტე, გასტალდელო, სალა, აკარდი, კ. ძენონი (დელვეკიო 74), სამარკო (მონტელა 85), პალომბო, ფრანჩესკინი, პიერი, კასანო (ბონაცოლი 80), ბელუჩი
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
რომა: ა. დონი, კასეტი (ბრიგი 68), პანუჩი, მექსესი, ტონეტო, დე როსი, პიზარო (აკვილანი 84), სისინიო, პეროტა, მანსინი (ჟული 54), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
მსაჯი: საკანი
24 312 მაყურებელი

**სიენა 1:0 იუვენტუსი**

1:0 ხარჯა (7)
სიენა: მანინგერი, ფიკანია, პორტანოვა, ლორია, როსი, ხარჯა (ფრიკა 72), ვერგასოლა, კოდრია, გალოპა, ლოკატელი (დე ჩელიე 53), მაკარონე (როსეტინი 90)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა (სალიჰამიჯიჩი 46), ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, კამორანეზი, სისოკო (მარკიონი 66), კ. ძანეტი, ნედვედი (პალადინო 83), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: პორტანოვა, გალოპა, მოლინარო
მსაჯი: ორზატო
15 000 მაყურებელი

**კალიარი 2:1 ფიორენტინა**

1:0 ჟედა (20), 2:0 კონტი (50), 2:1 სანტანა (51)
კალიარი: სტორარი, პიზანო (ფერი 71), ლოპესი, კანინი, აგოსტინი (დელ გროსო 79), ბიონდინი, კონტი, ფინი, კოსუ (ფოჯა 63), ჟედა, მატრი
მწვრთნელი: დავიდე ბალარდინი
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი (ლივერანი 29), კუზმანოვიჩი, დონადელი (სანტანა 46), გობი, სემიოლი (ოსვალდო 60), მუტუ, პაცინი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: მუტუ, კონტი, პასკუალი, გამბერინი, მუტუ
გაძევება: მუტუ (90)
მსაჯი: ფარინა
12 000 მაყურებელი

**ემპოლი 0:1 უდინეზე**

0:1 კვალიარელა (17)
ემპოლი: ბალი, რაჯი, პიკოლო (ჯაკომაცი 68), მარცორატი (ვოლპატო 53), ტოსტო, ბუშე, ბუდელი, მორო (მარკიზიო 53), ანტონინი, ვანუკი, ჯოვინკო
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
უდინეზე: ჰანდაროვიჩი, ზაპოტოჩნი, კოდა, საპატა, მესტო, ინლერი, დაგოსტინო (პინცი 73), დოსენა, პეპე, კვალიარელა (ფლორო ფლორესი 84), დი ნატალე (ისლა 53)
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ვანუკი, პიკოლო, ბუდელი, ჯოვინკო, პეპე, დოსენა
მსაჯი: დამატო
8 000 მაყურებელი

**ლაციო 1:2 პალერმო**

1:0 პანდევი (25პ), 1:1, 1:2 ამაური (37, 90)
ლაციო: მუსლერა, ძაური, კრიბარი, როზენალი, კოლაროვი, მანფრედინი (დელ ნერო 84), ლედესმა (მუდინგაი 77), მუტარელი, მეგნი (ვინიაროლი 54), ტარე, პანდევი
მწვრთნელი: დელიო როსი
პალერმო: ალიარდი, კასანი, რინაუდო, ბარცალი, ბალცარეტი, სიმპლისიო (გუანა 61), მილიაჩო, იანკოვიჩი (დი მატეო 66), მიკოლი, ბრეშიანო (კავანი 52), ამაური
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: მუტარელი, ბალცარეტი
მსაჯი: მარელი
18 000 მაყურებელი

**ტორინო 2:1 ნაპოლი**

1:0 როზინა (27პ), 1:1 კონტინი (53), 2:1 დი მიკელე (56)
ტორინო: სერენი, მოტა, დი ლორეტო, ლანა, პიზანო, კორინი, დიანა (რეკობა 72), როზინა (ფრანჩესკინი 77), პ. ძანეტი (გრელა 54), დი მიკელე, სტელონე
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
ნაპოლი: ნავარო, სანტაკროჩე, კონტინი, კუპი (გარიკსი 65), მანინი (კაპარელა 81), ბლაზი, გარგანო, ჰამშიკი, დომიცი, ბოლიაჩინო (კალაიო 62), ლავეცი
მწვრთნელი: ედუარდო რეხა
გაფრთხილება: დომიცი, ბლაზი, კორინი, სერენი, სანტაკროჩე, სტელონე, ჰამშიკი
მსაჯი: დე მარკო
20 000 მაყურებელი

**პარმა 1:0 ჯენოა**

1:0 ლუკარელი (58)
პარმა: პავარინი, კოლი, ფალკონე (ანტონელი 71), როსი, კასტელინი, დესენა, მორონე, პარავიჩინი (ანელი 90), მარიგა, რეჯინალდო (ლორენცინი 83), ქ. ლუკარელი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ჯენოა: რუბინიო, კონკო, ბოვო, კრიშიტო, როსი (ფიგეროა 68), მილანეტო (ვანდენ ბორე 80), იურიჩი, დანილო, სკული, ბორიელო, ლეონი (უილსონი 74)
მწვრთნელი: ჯანპიერო გასპერინი
გაფრთხილება: მილანეტო, კონკო, ბოვო, კრიშიტო
მსაჯი: ტრეფოლონი
10 000 მაყურებელი

**ატალანტა 3:2 ლივორნო**

1:0 დონი (55), 2:0 ფერეირა პინტუ (59), 2:1 როსინი (64), 2:2 პავანი (80), 3:2 პადოინი (88)
ატალანტა: კოპოლა, რივალტა, ტალამონტი (პელეგრინო 67), მანფრედინი, ბელინი, ფერეირა პინტუ, ტისონე (ბონავენტურა 76), გუარენტე, პადოინი, ქ. დონი, ფლოკარი
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლივორნო: ამელია, გრანდონი, პავანი, კნეძევიცი, ბალერი (დიამანტი 66), ლოვიზო, ბერგვოლდი (პულცეტი 56), ა. ფილიპინი, პასკუალე, ტავანო, ტრისტანი (როსინი 46)
მწვრთნელი: ფერნანდო ორსი
გაფრთხილება: პავანი, პასკუალე
მსაჯი: ტალიავენტო
15 000 მაყურებელი

**კატანია 1:2 რეჯინა**

0:1, 0:2 ამორუზო (40, 90პ), 1:2 მარტინესი (90)
კატანია: პოლიტო, სარდო, ტერლიცი, სტოვინი, საბატო, ბაიოკო (მორიმოტო 66), ბიაჯანტი, ტედესკო (მარტინესი 55), ვარგასი, კოლუჩი, მასკარა
მწვრთნელი: ვალტერ ძენგა
რეჯინა: კამპანიოლო, ლანცარო, ჩირილო, არონიკა, კოშტა, კოცა (ვიჯანი 70), ბარეტო, ტონიოცი, მოდესტო, ბრიენცა (კაშიონე 58), ამორუზო (სტუანი 90)
მწვრთნელი: ნევიო ორლანდი
გაფრთხილება: კოცა, ლანცარო, სტოვინი, ტერლიცი, ჩირილო, არონიკა
მსაჯი: როკი
17 000 მაყურებელი



შავ-წითელი სუპერწყვილი: კაკა და პიპო ინძაგი

**„რომამ“** იმედი დაიბრუნა. — დედაქალაქელთა მიერ „სამპდორიას“ 3:0 რბევამ სერია A-ს ცხრილს ახლებური ელფერი შესძინა, თუმცა რომაელები ამას საკუთარი თავის გარდა „მილანს“ უნდა უმადლოდნენ: „დერბი დელა მადონინაში“ „შავ-წითლებმა“ „შავ-ლურჯებს“ 2:1 მოუგეს.

ამასობაში „ფიორენტინამ“ „კალიარსგან“ იწვნია 1:2, რის შედეგადაც მეოთხე ადგილზე „მილანი“ აუშვა, „იუვენტუსს“ კი სიენაში დაუცდა ფეხი — 0:1.

მაგრამ, მოდი, იტალიური სეზონის ხან ოფიციალური და ხანაც არაოფიციალური გვირგვინით, მილანური დერბით დავიწყოთ. მოგეხსენებათ, „სან სიროზე“ „ინტერს“ დღესვე შეეძლო ჩემპიონის ტიტულის ამოიღლიავება, მაგრამ ვაგლახ, მეპატრონე მასიმო მორატის ფული დაეზოგა — საზეიმო ფოიერვერკი და ვახშამი გადაიდო.

